



ნოემბერი

1934 წ.

№ 107

საქართველოს პარტიული პარტიების ორგანო

La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

NOVEMBRE

1934—№ 107

საქართველოს პარტიული პარტიების ორგანო.



ალი-მარღან-ბეზ თოფჩიბაში

ალი-მარდან-ბეგ თოფჩიბაშის ხსოვნა

განსვენებული იტყოდა ხოლმე მახლობლებთან ერთგვარი სიამაყით, რომ ის არის საქართველოს კეთილშობილ წოდებისა, და საბუთად მიუთითებდა გუჯრებზე, რომელიც ჩვენს მეფეთ გაუციათ მის წინაპართა სახელზე. ერთი ამ წინაპართაგანი. იმავე სახელითა და გვარით, უკანასკნელ მეფეთა კარზედ მსახურებდა, როგორც თოფჩიბაშის და მეციხოვნეთა უფროსი, და სწორეთ აქედან უნდა წარმოსდგებოდეს განსვენებულის გვარი: თოფჩი ბაში. დაბადებული და აღზრდილი ჩვენს დედა-ქალაქში, ის იქვე ბრუნდებდა, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. სამოღვაწეთ და მხოლოდ მეოთხმოცდაათე წლებში გადადის საცხოვრებლათ ბაქოში.

ბაქოში ამ დროს ცხოვრება სდულდა და გადადიოდა, იგი იქცა მრეწველობის ერთ-ერთ დიდ ცენტრად და აქედან ალი-მარდან-ბეგიც ძველი იმპერიის 30 მილიონ მაჰმადიანთა კულტურულ-ეროვნულ მოძრაობის სულისჩამდგმელად იქცა. რაც მას ამ დიდ და საეპოქო საქმეში მიუძღვის, ვერ აიწერება მოკლე მეთაურში, მას ეჭირება ცალკე ისტორიკოსი, — ვიტყვით მხოლოდ, რომ განსვენებულის სახელი განთქმული იყო თავის დროზე მთელს იმპერიის სივრცეზედ. ის იყო, ასე ვსთქვათ, წინამორბედი მთელი იმ ამბებისა, რისი მოწმენიც ჩვენ ვიყავით 1917 და შემდეგ წლებში.

ქართველ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება ალი-მარდან-ბეგმა მიიქცია 8 თებერვალს 1915 წელს ტფილისში, სადაც მან გაბედული სიტყვა წარმოსთქვა ჩვენი დიდი აკაკის ცხედრის წინაშე. ის მიესალმა ქართველ ერს აზერბაიჯანის ერის სახელით, გამოუცხადა ძმური თანაგრძობა, აღნიშნა, რომ ორივე ერის იდეალი ერთი და იგივეა და მოუწოდებდა მისთვის ერთათ სამსახურისკენ. ასეთი კილოთი ლაპარაკი სრულიად არაჩვეულებრივი იყო იმ დროს, დასტოვა დაუფიწყარი შთაბეჭდილება, რაიცა დაუშვებელი იყო, რა თქმა უნდა, მაშინდელ ხელისუფლებისთვის და კიდევ ამიტომ ორატორი იძულებული იყო შეუმჩნევლათ გამქრალიყო. ალი-მარდან ბეგის სახელი კიდევ გაისმა საქართველოში, დიდი ომის დროს, ერთხელ აქარლების აწიოკების, მეორეჯელ საერობო თათბირების დროს, როცა ის ქართველ-აზერბაიჯანლების დამეგობრობის თავდადებულ დამცველად გამოდიოდა.

მაგრამ განსვენებული არ იგიწყებდა, რომ კავკა-

სიაში არიან ორი სხვა ერიც: მთიულნი და სომხები, რომელთა საერთო ფერხულში ჩაბმა მთელი მისი მოღვაწეობის განუწყვეტელ ზრუნვას შეადგენდა. თათარ-სომხთა სისხლიანი შეტაკებანი, გარეშე ძალთა მეოხებით, ნამდვილ ტრაგედიას შეადგენდა მის ცხოვრებაში, და ბევრია დღესაც სომხები, რომელნიც აღნიშნავენ მის უზანგარო და ხშირათ სახიფათო მუშაობას ორ მეზობელ ერის მოსარბიგებლათ. ალი-მარდან-ბეგი პირველი იყო, რომელიც პირადათ მიესალმა მთიულთა ყრილობას თავისუფლების მეორე დღეს, და ის იყო სწორეთ ნამდვილი მღალადებელი მათი სახელით, როცა ის დაქინებით მოითხოვდა მოკავშირეთა უმალეს საბჭოსაგან კავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთათ მთის ცნობასაც. ჩვენ ეხლაც ცხოველათ გვახსოვს განსვენებულის აღზნებული სიტყვა, აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოს სახელით, საქართველოს ისტორიულ ეროვნულ ყრილობაზედ, ნოემბერს 1917 წელს.

საქართველო და აზერბაიჯანი კავკასიის ხერხემალია — იტყოდა განსვენებული — ხოლო მთა და სომხეთი — მისი მკლავებია. მას არ ჰქონდა წარმოდგენილი ამ ერთა ცალკე არსებობის შესაძლებლობა, ამიტომ თვითულის სამშობლოს საყურარო მას კავკასიის საერთო სამშობლოში ეგულეობდა. რამდენი ჯაფა, რამდენი მსხვერპლი გაუღია მას ამ საერთო სამშობლოსთვის!

როცა მის საყვარელ აზერბაიჯანს მტერმა ხელახლავ დაადგა უღელი, ამის აღრე — მთას და შემდეგ — სომხეთს და საქართველოს, ალი-მარდან-ბეგი განიცდიდა დაუცხრომელ ტანჯვას, რომ მისი შიში, მისი წინასწარმეტყველება მართლდებოდა: ცალცალკე დაგვამარცხეს, სხვაგვარ შეუძლებელი იყო — ამბობდა. ის იყო კავკასიის პირველი პატრიოტი არა მარტო ხნოვანებით, არამედ იდეოლოგიითაც.

დადგა გრძელი ემიგრანტული ხანა და ალი-მარდან-ბეგი, მოწყვეტილი სამშობლოს, გახდა მისი საშინელ ტანჯვის და ვაების, მის ზრახვების მესაიდუმლე უცხოეთში. ის სიტყვით და კალმით ამხელდა მთავრობათა და საზოგადო აზრის წინაშე ახალ მტარვალთა ფლიდ და ვერავ საქმეებს აზერბაიჯანში და შეუდრეკელათ იცავდა უკანასკნელის უფლებას დამოუკიდებელ არსებობისათვის. აზერბაიჯანი, მცირე ცნობილი უცხოეთში, უმთავრესათ ალი მარდან-ბეგის მოღვაწეობით, გახდა ცნობილი. ამას ხელი



შეუწყო ბაქოს ნავთმაც, რა თქმა უნდა, და ალი-მარ-დან—ბეგიც პროტესტს პროტესტზე აცხადებდა, რომ მოსკოვი სცარცვავდა აზერბაიჯანს და მისი ნავთით ხაზინას იმდიდრებდა.

სრულიად არაჩვეულებრივ ენერგიას იჩენდა ალი-მარდან-ბეგი კავკასიის ოთხივე რესპუბლიკის საერთო მუშაობაში, ის არ ერიდებოდა პირად პოპულიარობის დაკარგვასაც, ოღონდ კავკასიის საერთო ფრონტი დაეცვა. მისი აქტიური მონაწილეობით იქნა ხელმოწერილი კავკასიის კონფედერაციის ოქმი კიდევ 1924 წ. ნოემბერს. შემდეგ თითქმის მთელი ორი წელი ნუშაობდა სხვებთან ერთად, რათა სომხეთის წარმომადგენელი მიემხრო ოქმისადმი.

ცოცხლათ გვიდგას თვალწინ გულის-ამტოკველი სურათი, როგორის სასოებით, როგორის სიძნელით, მთელი ძალების შემოკრებით აწერდა ხელს ავანტიურული ალი-მარდან-ბეგი კავკასიის კონფედერაციის პაქტს! ეს იყო მისი უკანასკნელი გმირული საქმე.

აღსანიშნავია ერთი თვისებაც. განსვენებულისათვის სრულიად აუტანელი იყო უთანხმოება და შუღლი მის თანამემამულეთა შორის, წელებზედ ფეხს იდგამდა, სთმობდა ყველაფერს პირადულს და წარსულ დიდ დამსახურებას მშვიდობისა და თანხმობის მისაღწევად. ალი-მარდან ბეგი ვერ ითმენდა მზგავს სამწუხარო მოვლენებს მეზობლებშიც და უაღრესი სიფრთხილით და მეგობრულად ერეოდა მათ დავაშიც, რათა იგივე მშვიდობა და თანხმობა დაემყარებია მათ შორის. ჩვენ, ქართველებს, კარგათ გვანსოვს მისი როლი ამ მხრივ.

ალი მარდან-ბეგი გულჩათხრობილად გვეუბნებოდა, როცა ექსტანში მოვიდოდა, რომ მას აქვს მამაპაპური პატარა სახლი ძველს ტფილისში, რომელსაც არ ელეოდა გასაყიდათ, და სწუხდა ვაი თუ ჩვენმა საერთო მტერმა დამინგრისო. ჩვენ არ ვიცით; სად ერიხა მას დასაფლავება, ტფილისში თუ ბაქოში. ჩვენ, ქართველები, არ ვაცხადებთ არავითარ პრეტენზიას, მაგრამ, როცა კავკასიის მოამაგე ალი-მარდან ბეგის ძვირფასი ნაშთი გადატანილ იქნება ბაქოში, მთელი ქართველი ერი, დაწყებული ბათუმიდან, თავის დედა-ქალაქში, მუხლს მოიდრეკს და ეტყვის: დიდება შენ! შენ დაეცი საერთო ბრძოლის ველზედ, ჩვენ განვაგრძობთ შენ მიერ დაწყებულ საქმეს.

ა. მ. ბ. თოფჩიბაშის დასაფლავება


8 ნოემბერს სენ-კლუს სასაფლაოზე მიწას მიიბარეს ალი-მარდან-ბეგ თოფჩიბაშის ცხედარი. მისი სახით კავკასიის განმათავისუფლებელ მოძრაობამ დაკარგა თავდადებული მებრძოლი, დიდი პატრიოტი და იშვიათი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც 50 წლის გასწვრივ მთელი თავისი არსებით იბრძოდა ადამიანის და ერების თავისუფლებისათვის. ამიტომაც მისი დასაფლავების დღე გადაიქცა კავკასიის მთლიანობის, ჩაგრულ ერთა ურყევი ნების დემონსტრაციად.

აქ, პირღია საფლავს წინ თავი მოუყრიათ საბჭოთა კავშირის ჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს, რათა უკანასკნელი «მშვიდობით» უთხრან დიდ მებრძოლს, დიდ კავკასიელს. აქ არიან ადერბაიჯანელი, ქართველი, მთიელი, სომეხი, უკრაინელი, თურქესტანელი, ყაზახი და სხვანი. ყველას სახეზე მწუხარება და გლოვა აღბეჭდილა. ამ განცდებში ყველა გაერთიანებულია და მიცვალებულს მისი იდეების ერთგულებათა ეფიცებიან, ამიტომაც თითოეული სიტყვა, ძვირფასი ცხედრის წინაშე წარმოთქმული, მთელი პროგრამა, სამოქმედო გეგმა ჩაგრულ ერების განმათავისუფლებელი ბრძოლისა.

პირველი ლაპარაკობს ადერბაიჯანის ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე ბ. რასულ-ზადე, რომელიც თავის მშვენიერ თურქულ სიტყვაში დამსწრეთ მოაგონებს თოფჩიბაშის მრავალფეროვან და მდიდარ მოღვაწეობას ცარიზმის დროს, მიმართულს მრავალეთა წინააღმდეგ. «ალი-მარდან-ბეგი—ამბობს ორატორი—ჩვენ შორის პირველი გრძნობდა, რომ კავკასიის თავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ კავკასიის ხალხების მთლიანობით შეიძლებოდა. ეს იდეა გახდა მისი მოქმედების ქვაკუთხედათ და აქ უცხოეთშიაც ის იყო კავკასიის მთლიანობის, მისი კონფედერატული კავშირის იდეური და მორალური ძალა. ის ამ იდეის ერთგული დარჩა სიკვდილამდე. ის ახალგაზდულ აღტყინებას განიცდიდა ამ რამდენიმე თვის წინად, როდესაც ხელს აწერდა კავკასიის კონფედერაციის პაქტს, რომელშიაც ის ხედავდა მისი სანუკვარ იდეების რეალიზაციას. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: «მთლიანი კავკასია, მწამს, გაიმარჯვებს, ემსახურეთ მის ერთობას» და ჩვენ, მის ახლობელ მეგობრებს, ამ პოზიციასზე დგომას, მის ერთგულებას გვიანდერძებდა. და ჩვენც ვეფიცებით მის ვაცივებულ ცხედარს, რომ მის იდეებს არ უღალატებთ».

შემდეგ მგრძნობიარე სიტყვას ფრანგულ და რუსულ ენაზე ამბობს, საქართველოს სახელით საქართველოს ყოფ. ელჩი აკ. ჩხენკელი. ის აღნიშნავს მიცვალებულის მდიდარ პოლიტიკურ მოღვაწეობას და ამბობს:

«ალი-მარდან-ბეგი თოფჩიბაშის სახით ჩვენ დავკარგეთ დიდი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც იყო მეფე არა მარტო ადერბაიჯანის, არამედ ერთადერთი აქტიური ხელმძღვანელი ძველი რუსეთის იმპერიის მუსულმანურ მოსახლეობის და მუდამ თავმჯდომარეობდა მის კონგრესებს». შემდეგ ორატორი იგონებს განსვენებულის მოღვაწეობას თავისუ-



ფლები და დემოკრატიაში და დასკვნის: «ჩვენ ვსთვლით თოფჩიბაშს კავკასიის პირველ პატრიოტად, რომელმაც შესწირა თავისი ახალგაზდობა და 50 წლიანი პოლიტიკური მოღვაწეობა კავკასიის ხალხების მეგობრობას და სოლიდარობას. ამავე გრძნობებით გამარჯვებულმა მან ხელი მოაწერა დიდის აღფრთოვანებით და გატაცებით კავკ. კონფედერაც. პაქტს. ეს იყო მისი უკანასკნელი აქტი... ჩვენ ღრმითა გვწამს, რომ ის ნაციონალური და საერთო კავკასიური იდეალი, რომელსაც ემსახურებოდა განსვენებული—განდება მანათობელ ვარსკვლავად ყველა იმთავის, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება თოფჩიბაშის სახელოვან საქმის გაგრძელებისა.

მაშ მივცეთ ერთმანეთს ფიცი ალი-მარდან-ბეის წმინდა საფლავის წინაშე, რომ ჩვენ შეუდრევლად გავაგრძელებთ მის მიერ დაწყებულ საქმეს—ჩვენი ქალარა, მაგრამ მუდამ ახალგაზდა და გამირულ კავკასიის ერთობის და თავისუფლებისას».

შემდეგ სიტყვას ამბობს სომხეთის წარმომადგენელი ბ. ხატისოვი მისთვის ჩვეული მოხდენილობით. აღნიშნავს მიცვალებულის დაუფასებელ ღვაწლს რუსეთის იმპერიის მუსულმანურ მოსახლეობის მიმართ და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ განსვენებული მართალია იყო ადერბაიჯანის დიდი პატრიოტი, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა სწორად გაეყო განაწამები სომხეთის მწუხარება. ჩვენ, სომხებმა, მისი სახით დავკარგეთ გულწრფელი მოსარჩლე, ხოლო კავკასიაში კი დიდი პატრიოტი.

ბ. ხატისოვის შემდეგ სიტყვა ეძლევა მთის რესპუბლიკის წარმომადგენელს ბ-ნ შახმანს, რომელსაც მოაქვს მთის მწუხარება და გლოვა კავკასიის დიდი პატრიოტის დაკარგვის გამო.

მოკლე და მგრძობიარე სიტყვებით უსამძიმრებს მიცვალებულის ოჯახობას და კავკასიას უკრაინის სახელით უკრაინის სახალხო მთავრობის საგარეო მინისტრი პროკოპოვიჩი:

«განაწამებ უკრაინის ხალხის სახელით, ნება მომეცით უღრმესი თანავგრძობა გამოვიცხადოთ იზვიათი პოლიტიკური მოღვაწის გარდაცვალების გამო. ქირში და ლხინში თქვენთან გვიგულეთ»-ო.

ასევე მგრძობიარე სიტყვას ამბობს თურქესტანის წარმომადგენელი ბ. ჩოკაევი, რომელიც კავკასიის მწუხარებას სთვლის თურქესტანის მწუხარებად და იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა კავშირის ჩაგრულ ხალხების შეთანხმებული ბრძოლა განააღდებს იმ მაღალ და ბრწყინვალე იდეებს, რომელსაც განსვენებული ემსახურებოდა.

საერთო გლოვას თავის მწუხარებას უერთებს ყაზახობა, თავის წარმომადგენლის, ბ. ბალინოვის სახით, ის ამბობს: «ჩვენ გვწამს, რომ განსვენებულის საქმე არ დაიძინებს. მას ყავს ღირსეული მემკვიდრენი, რომლებიც საერთო ძალით შესძლებენ ტირანიის დამხობას და მის ნანგრევებზე ერთა თავისუფლების აღმართვას».

სიტყვები დამთავრდა, ძვირფასი მცხედარი საფრანგეთის მიწამ ჩაიკრა. კავკასიის თავისუფლებისათვის მებრძოლი თავისუფლების მოყვარულ ქვეყანამ შეიხიზნა. საფლავი ყვავილებით და გვირგვინებით შეიმკო. მრავალ გვირგვინთა შორის საქართველოს სამფეოროვანი დროშა მოსჩანს, ის ლამაზ ყვავილებით შემკულ გვირგვინს გადაკვრია. შემოდგომის მხის მკრთალი სხივი მის ოქროს ასოებს გაბლანდვია და წარწერთ: «ქართველი ხალხი კავკასიის დიდ პატრიოტს»-ო, გვისამძიმრებს.

დამსწრე.

წერილი კედეძის მიმართ

დიდათ პატივცემულ ბ-ნ რედაქტორ!

ნება გვიბოძეთ თქვენი ვაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ ქართველთა კალონიის წევრებს, რომ პატივი სცეს ჩვენი მეუღლის და მამის ალი-მარდან-ბეგი თოფჩიბაშის, საქართველოს ძველი გამოცთილი მეგობრის ხსოვნას, რომელმაც ყვევე გრძნობები გვიანდერძა ჩვენ საქართველოს მიმართ.

თქვენი პატივისმცემელი
ვერთი სანუბ თდფჩიბაში
და მისი შვილები.



ბვილისის სახალხო მეურნეობა 1932 წ.

(წერილი საქართველოდან)

1933 წელს ბვილისში გამოვიდა მეტად საყურადღებო კრებული სათაურით «ქალაქ ბვილისის სახალხო მეურნეობა ციფრებში 1932 წ.»

კრებულს აწერია «არა გამოსაქვეყნებლად». სჩანს, კრებულში მოთავსებული ცნობები საიდუმლოებას შეიცავს, მისი გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის აკრძალულია. ასეთი გამოცემები ურიგდება სახელმძღვანელოდ მეტად პასუხისმგებელ და სანდო უმაღლეს თანამდებობის პარტიულებს, რომელთა რიცხვი ათეულებით განისაზღვრება. დანარჩენ პარტიულთათვის, უფრო უპარტიოთათვის, ასეთი გამოცემები აკრძალულია.

რატომ მალავს მუშებისა და გლეხ-მშრომელთა ინტერესების «დამცველი», სოციალისტებისათვის «მებრძოლი» ხელისუფლება თავის მოღვაწეობის შედეგებს, პირველი ხელწოდების უკანასკნელი წლის «მიღწევებს»?

პასუხი ერთად ერთია: «სოციალისტური მთავრობის სოციალისტური მიღწევები» 1932 წ. ისეთი ხასიათის აღმოჩნდნენ, რომ მისი საშუაროზე გამოტანა იქნებოდა ყაჩაღური ნიღაბის ანდა და ხალხის წინაშე მცარცველის ნამდვილი სახით გამოსვლა, რაც ტირანთა ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი არ არის. ხალხისათვის სინამდვილის დამალვა, მისი მოტყვივობა ეს ყველა ხიშტით გაბატონებულითა ნაცადი სერიაა.

უღარესად ანტი-ხალხური საბჭოთა ხელისუფლება საჯაროდ ერთს ამბობს, ხოლო სინამდვილეში სულ სხვას აკეთებს. ხელისუფლების წარმომადგენლები, ყველა კრებებზე, ყრილობებზე, კონფერენციებზე საჯაროდ დანიშნულების პრესაში და გამოცემებში სოციალისტური მშენებლობის უდიდეს მიღწევებზე გაყვირიან, მხოლოდ საიდუმლო კრებებზე და გამომცემლობაში სულ საწინამდევო სურათს შლიან.

მართალია საბჭოთა კავშირის მშრომელთა დღეს აღარაფერი სჯერათ ხელისუფლების, ვინაიდან თვითეული გლეხი და მუშა მძიმედ განიცდიან «მუშა-გლეხის მთავრობის მიღწევების» შედეგს—შიმშილსიცივეს, მაგრამ სხვა ქვეყნების მშრომელთა შორის კიდევ ბევრი დარჩა ისეთი, რომელთაც ჰგონიათ, რომ საბჭოთა კავშირში ასე თუ ისე, მაინც სოციალისტური საქმე კეთდება.

ამ წერილის დანიშნულება უმთავრესად ის არის, რომ უცხოეთში მყოფთ გააცნოს ამ «მშენებლობის» შესახებ საიდუმლო გამოცემაში მოთავსებული ცნობები, რომელთა უარყოფას საბჭოთა ხელისუფლება ვერ შესძლებს. რასაკვირველია სავსებით სანდო არც ეს ცნობებია, რამდენიმედ ისინიც შეღამაზებული-შესწორებულია. მდგომარეობა უარესია, მაგრამ საქართველოს ოკუპანტთა მოღვაწეობის შედეგებს ქალაქ ბვილისში დაახლოებით სისწორით გადმოგვცემენ.

როგორია ეს შედეგები?

მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა.

ბვილისში 1932 წლის წინა წელთან შედარებით მოსახლეობის ბუნებრივი მატება 28,0 პროცენტით შემცირდა, რაც გამოწვეულია ერთი მხრით დაბადების შემცირებით და მეორე—სიკვდილიანობის გაზრდით. 1932 წ. 1.000 მცხოვრ. დაიბადა 20,8 სული, მოკვდა—15,9, მოემატა—4,9; 1931 წ. დაიბადა 22,0, მოკვდა 15,2, მოემატა 6,8. შემცირება დაბადების უდრის—5,5 პრ., გარდაცვალების ზრდა კი 4,6 პრ.,

სახალხო განათლება.

ამ დარგიდან კრებულში წინა წელთან შედარებით მოცემულია ცნობები მხოლოდ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების შესახებ. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ წიგნების რიცხვი ბიბლიოთეკებში 1932 წელს წინა წელთან შედარებით ერთ მცხოვრებზე გამოანგარიშებით შემცირდა 3,6 პროც. მოთხოვნილება წიგნზე გაიზარდა, აბონიშნებთა რიცხვმა წინა წელთან შედარებით 5,6 პროც. მოიმატა, ხოლო ახლად შექმნილი წიგნების რიცხვი 13,2 პროც. შემცირდა, ამის შედეგად ერთ აბონიშნებზე 1932 წ. 10,7 წიგნი მოდიოდა, ნაცვლად 12,4 წიგნისა 1931 წ., შემცირება 13,7 პროც. უდრის.

სახალხო ჯანმთელება.

ავადმყოფთა რიცხვი სტაციონალურ დაწესებულებებში 11,7 პროც. გაიზარდა, მხოლოდ მომსახურეობა გაუარესდა; 1932 წ. ერთი ექიმი 9 საწოლს და 182 მწოლარე ავადმყოფს ემსახურებოდა ნაცვლად 8 საწოლისა და 162 ავადმყოფისა 1931 წ. მოვლა-მომსახურეობის გაუარესება 12,3 პროც. უდრის რაც ერთ-ერთი მიზეზთაგანია სიკვდილიანობის მატებისა. თუ 1931 წელს 1.000 ავადმყოფიდან 7,6 კაცი კვდებოდა, 1932 წელს 8,4 კაცი კვდება, ზრდა 10,8 პროცენტში გამოიხატება.

1931 წელს ერთ საწოლზე 329 მცხოვრები მოდიოდა, ერთ ექიმზე—2963. 1932 წ. კი მოდის მცხოვრები ერთ საწოლზე 333 და ერთ ერთ ექიმზე—3008.

გადამდები სნეულებით დაავადებულთა რიცხვი გაზდილა 1932 წ. 16,0 პროც., აქედან ტიფით დაავადებულნი შეადგენენ 3,7 პროც. ნაცვლად 1,7 პროც. 1931 წ. ზრდა ორჯერ მეტია.

კომუნალური მეურნეობა.

კრებულში მოყვანილი ცნობები მოწმობენ, რომ გეგმა ვერ იქნა შესრულებული კომუნალურ მეურნეობის ვერც ერთ დარგში. წყალსადენი, ტრამვაი, ელექტრონიტ განათება, კანალიზაცია, აბანოების მოწყობა და სხვა შედარებით წინა წელთან სარგძნობლად გაუარესებულია. გეგმით გათვალისწინებული სახალხო მშენებლობის ფინანსური შესრულება მხოლოდ 76,7 პროც. უდრის, ტექნიკური კი გაცილებით ნაკლებია; სახიდო-საინჟინერო ფინანსური გეგმა შესრულებულია 63,8 პროცენტით, ტექნიკური კიდევ ნაკლებად. საბინაო, სასკოლო და საავადმყოფოთა კომუნალური გეგმა ფინანსურად შესრულებილია მხოლოდ 86,5 პროც. ტექნიკური გეგმის შესრულების შესახებ ცნობები არ არის მოცემული, მაგრამ, ცხადია, რომ მისი შესრულება ფინანსურზე უარესი არის.

კომუნალურ საწარმოთა ფინანს. მდგომარეობა.

კრებულში მოყვანილია მეტად საინტერესო ცნობები კომუნალურ მეურნეობ. შემოსავალ-გასავლის შესახებ. ცალკე საწარმოებებში შემოსავალ-გასავალი და მოგება ასეთი სახით არის წარმოდგენილი:

შემოსავალი	გასავალი	მოგება
წყალსადენი 2.390.900	1.252.100	1.138.800
ტრამვაი 15.443.400	5.820.200	9.623.200
ელ.განათება 5.102.000	3.521.100	1.580.900
კანალიზაცია 858.300	410.800	447.500
აბანოები 2.164.700	783.800	1.380.900
სასტუმროები 1.327.700	314.800	1.012.900
სულ 27.287.000	12.102.000	15.184.200

კომუნალურ საწარმოებიდან მიღებული მოგების საერთო ჯამი მთელი შემოსავლის 55,6 პროც. შეადგენს, ხოლო გაწეულ ხარჯებთან შედარებით 124,6 პროცენტს. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, ის, რომ სადღე კიდევ არსებობდეს (შორეულ წარსულშიც კი) ისეთი მთავრობა და ქვეყნის მართველობა, რომელიც კომუნალურ საწარმოებიდან ასეთ დიდ მოგებას ღებულობდეს. კომუნალურ მეურნეობის დანიშნულებას ყველა კულტურულ სახელმწიფოში—მოსახლეობის მომსახურების გაიაფებაა, ამ მიზნით ზოგიერთ ქალაქში კომუნ. საწარმოებები ხარალითაც კი მუშაობენ. «სოციალისტურ სამოთხეში» კი წყალსადენი, აბანოები, კანალიზაცია და განათება მშრამელი ხალხის გაყვლეფის საშუალებად გვხდა. 1932 წ. აბანოების ტარიფი 68 პროც. გაიზარდა, კანალიზაციის 44,4 პროც. განა გასაგები არ არის ამის შემდეგ 1932 წ. მოაბანოვება რიცხვის დაკლება?

ხალხის უფლებების უზურპატორები არავითარ ზომას არ ერიდებიან, ფლონდ თავის შემოსავლის წყარო გაადიდონ და მშრამელი ხალხის ნაოფლარით თავის მორჩილ მოხელეთა ხროვა შეინახონ.

მრეწველობა.

დიდი გარღვევებით შესრულდა 1932 წ. გეგმები მრეწველობის დარგში, მაგალითად, ტფილისის მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულ მუშა ხელის გეგმა 84,2 პროც. არის შესრულებული—13.000 მუშის ნაცვლად 10.945 მუშა მუშაობდა. საერთო პროდუქციის გეგმა 74,1 პროც. არის შესრულებული. მრეწველობამ 132,7 მილ. მანეთის ღირებულების ნაცვლად 98,2 მილ. ღირებულების პროდუქცია გამოუშვა, წინა წელთან შედარებით პროდუქცია მხოლოდ 1,9 პროც. გაიზარდა.

სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა ერთ ერთი ზომაა მუშათა ექსპლოატაციის გასაძლიერებლად. დამკვრელობის სახელწოდების მიღება სწვალებას აძლევს მუშას ნახევრად დახურულ განმანაწილებლიდან პროდუქტები რიგს გარეშე, მეტი ნორმით და ზოგიერთი პროდუქტი მხოლოდ მან მიიღოს, მაშინ როცა არა დამკვრელს მშეირი ნორმით დაწესებულ პროდუქტების მისაღებად მთელი საათობით რიგში დგომა უხდება. დამკვრელთა რიცხვი იზრდება, მუშათა ექსპლოატაცია ძლიერდება, შრომის ნაყოფიერება კი უმნიშვნელოდ დიდდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მუშის შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის საჭირო აუცილებელ პირობებს მრეწველობა მოკლებულია. ჩამორჩენილ ტექნიკურ საშუალებებით, მშეირი კუჭით და სიბინძურეში, რასაც ადგილი აქვს საბუთთა კავშირში, შრომის ნაყოფიერების აწევა წარმოუდგენელია. და თუ მაინც აქვს ადგილი მის ზრდას—ეს მხოლოდ და მხოლოდ მუშის უღირსად ექსპლოატაციის და კანონით დაწესებულ სამუშაო დროზე მეტ მუშაობას მიეწერება.

ფიერების ზრდისათვის საჭირო აუცილებელ პირობებს მრეწველობა მოკლებულია. ჩამორჩენილ ტექნიკურ საშუალებებით, მშეირი კუჭით და სიბინძურეში, რასაც ადგილი აქვს საბუთთა კავშირში, შრომის ნაყოფიერების აწევა წარმოუდგენელია. და თუ მაინც აქვს ადგილი მის ზრდას—ეს მხოლოდ და მხოლოდ მუშის უღირსად ექსპლოატაციის და კანონით დაწესებულ სამუშაო დროზე მეტ მუშაობას მიეწერება.

მართალია მუშის ნომინალური ხელფასი 1932 წ. წინა წელთან შედარებით 13,2 პროც. გაიზარდა, მაგრამ ამას მუშის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოყოლია, ვინაიდან ფასები, როგორც ნორმირებულ საქონელზე, ისე არა ნორმირებულზე (კომერციულზე) სამჯერ ოთხჯერ და ზოგჯერ უფრო მეტად გაიზარდა. ფასების შესახებ ცნობები კრებულში არ არის მოყვანილი, ალბად ეს ცნობები იმდენად ცუდი სურათის მაჩვენებელია, რომ მეტის მეტად ვიწრო ჯგუფისათვისაც მისი გამოქვეყნება მიხანშეწონილად ვერ დანახვს. რეალური ხელფასი დაახლოვებით ამდენადვე შემცირდა—მუშის ნივთიერი მდგომარეობა დიდთ გაუარესდა.

ამ რიგად პირველი ხუთწლეულის უკანასკნელი წელი ყველაზე უსაშინელესი და გაჭივრების წელი იყო ტფილისის მოსახლეობისათვის. დაბადების და სიკვდილიანობის ისეთ დიდ ზრდას, რომელიც იყო 1932 წ., ადგილი არ ქონია ხუთ წლეულის არც ერთ წინა წელში. მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ისეთი დაბალი პროცენტი (0,43 პროც.) როგორც 1932 წ. გვაქვს, ტფილის არ ახსოვს ცარიზმის დროსაც კი.

დავაადების და სიკვდილიანობის ზრდა ყველაზე უკეთ გამოხატავს იმ აუტანელ გაჭივრებას, რომელშიც მოსახლეობა ჩავარდა საქართველოს ოკუპანტთა მოღვაწეობის წყალობით. საქართველო რუსეთის კალონიათ გადაიქცა, ქართველი ხალხი, ყოველგვარ უფლებას მოკლებული, ფიზიკურად განადგურების გზაზე დგას. საქართველოს ეკონომიური და კულტურული დაქვეითება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. არც ერთ კალონიალურ სახელმწიფოს არ მოუტანია იმდენი ვნება დაპყრობილებისთვის, რამდენიც «სოციალისტ» კალონიზატორებმა საქართველოს მიაცენეს. ოკუპანტებისაგან საქართველოს განთავისუფლება ქართველი ხალხის სასიცოცხლო ამოცანაა.

ქართველ ერს ბევრი გაჭივრება უნახავს, მაგრამ ყველა თავის სასიცოცხლო ძალების გაერთიანებით გაჭივრებიდან გამოსულა, მტერს, მისი მოსაბოვა ვერ მოუხერხებია.

საქართველო უკანასკნელი მტერის—«სოციალისტური» რუსეთის—ბატონობას ისევე დააღწევს თავს, როგორც სხვა უთვალავ მტრისაგან დაიხსნა თავი. საქართველოს განთავისუფლება შორეულ მომავლის საკითხი არ არის. კაცობრიობის ისტორია ისეთი მიმართულებით ვითარდება, რომ ძალადობასა და უსამართლობას ბოლო მოელება და მისი დროშა გამარჯვებულთა სამართლიანობისა და თანასწორობის დროშით შეიცვლება...

უენბი.



კომუნისტები საქართველოში

(ყოფილი კომუნისტის მოგონება)

4. მიმღვლის სამკვლევებო მემო.

ცეკას სხდომის დასრულების შემდეგ სტალინი გამომვლავარაჟა ამიერკავკასიის რკინის გზებზე არსებულ უწყესობების შესახებ. იმ ხანად მე ვიყავი დანიშნული საქართველოს რკინის გზების მეთვალყურეთ. მე მას ორიოდ სიტყვით გადავეცი უწყესობების მიზეზები.

მოსკოვმა გამოგვიგზავნა ჩვენ «დასახმარებლათ» დაცდილი ველიკოდერჟავნიკები: შუშკოვი, მირონოვი, რუკვი და სხვა, რომლებიც ჩუმად გზავნიდენ რუსეთში ყველაფერს, რაც «გლახად დადებლიი» იყო, აზინებდენ ჩვეით სპეციალისტებს, მუშებს და მოსამსახურებს და ატარებდენ პროვოკაციულ კომპანიას ამ.კავ. რესპუბლიკების რკინის გზების ერთ სამმართველოში გაერთიანების სასარგებლოდ. ყვიროდენ ყველა გზა ჯვარდინებზე რომ ამ.კავ. რკინ. გზები წარმოადგენენ ერთ მთლიან სამეურნეო ორგანიზმს და «გამცემელ» მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების წყალობით ხელოვნურათ არის დაქსაქსულიო. მათ ხელმძღვანელობდა ჯალათ ძერჟინსკის ბინძური ხელი მოსკოვიდან და არა ნაკლებ ბინძური ხელი სადისტ მარკოვისა როსტოვიდან, რომელიც თავისი «საგმირო» საქმეებისთვის მოკლულ იქმნა როსტოვის მუშების მიერ 1923 წელში. ძერჟინსკის და მარკოვის კაცებისთვის სრულიათ უცხო იყო ელემენტარული გრძობა (ოტაოდენი კეთილშობილებისა. მათთვის ყოველი ქართველი, თუნდაც კომუნისტი, იყო მენშევიკი, ყოველი სომეხი—დაშნაკელი, ყოველი ადერბაიჯანელი—მუსავატელი. ჩემთვის ცხადი იყო საიდან ჰქირდა ეს ქარი «მთლიანი სამეურნეო ერთეულის შექმნისა». ამ.კავ. რკინის გზების ერთ სამმართველოში თავის მოყრანიშნავდა ერთი ენის შემოღებას და ეს ენა უნდა ყოფილიყო რუსული. ამნაირად ლოზუნგი «ერების თვითგამორკვევა ჩამოშორებამდის» და «კულტურის განვითარება ეროვნულის ფორმით და ინტერნაციონალურის შინაარსით», გადიქენ ფიქციებათ. ფიქციათ გადაიქცა აგრეთვე ძალათ ვასაბჭოებულ საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი ადგილობრივი კომუნისტური მთავრობა. ეს უკანასკნელი ვერ ბედავდა სიტყვის შებრუნებას რუსის მეთერთმეტე არმიის სარდლობის კარნახზე, რომელიც მაგრად დაჯდა საქართველოში და არავისთან ძალაუფლების გაყოფა არ სურდა. მოსკოვის აგენტები განგებ სცდილობდენ. გზების მუშაობის დეზორგანიზაცია მოეხდინათ ყველა ა.კავ. რესპუბლიკებში. ამისთვის ისინი არ ერიდებოდენ არავითარ საშვალეებებს და სიმართლე უნდა ითქვას, რომ ეს «მუშაობა» იმათ კარგადაც ეხერხებოდათ, ვინაიდან მათი სტაჟი დანგრევის სფეროში მეტათ საკმაო იყო. მათი დეზორგანიზატორული მოქმედების წყალობით დისციპლინა გზებზე დაეცა, გზების მომარაგება მასალებით და მუშების სანოვავით, კატასტროფიულათ დაქვეითდა. რელსები, შპალები და სხვა მასალები ეგზავ-

ნებოდა «ძმურ» რუსეთის რკინის გზებს, მეორე ლინდაგი ბაქო-აჯიკაბულის შუა მისი ხიდებით საქართველო აყარეს და გაგზავნეს რუსეთში. სადგურებზე საშინელი სიბინძურე სუფევდა, რაც ხელს უწყობდა ეპიდემიურ ავადმყოფობების გავრცელებას. მგზავრები კვირაობით უცდიდენ რიგს, რომ ბილეთი ეშვავთ და მატარებელში მოხვედრილიყვენ. შეიარაღებული მატროსები სადგურებზე და მატარებლებში ეწეოდენ სპეკულიაციას პურით, შაქრით, თევზით, მარლით და არავის ანგარიშს არ უწყევდენ. ადმინისტრაციის ცდა მატროსების წესიერებისათვის მოწვევის არავითარ შედეგებს არ იძლეოდა, რადგანაც ისინი დემონსტრაციულათ აცხადებდენ, რომ არავითარ დეკრეტებს და მანდატებს ფ. მახარაძის ხელმოწერილის არ სცნობენ და ემორჩილებიან მხოლოთ ლენინის და კალინინის ხელმოწერილ კანონებს. მოსკოველი «სტუმრები» ლაქიურ სამსახურს უწყევდენ ორჯონიკიძეს და ყოველ დღე მის განკარგულებაში საგანგებო მატარებელს ადგენდენ. ორჯონიკიძეს იმ ზომამდე მოეწონა ამ საგანგებო მატარებლებში მოგზაურობა, რომ სრულიად გადაეჩვია ჩვეულებრივ მატარებლით მგზავრობას.

გზებზე პირობების გაუთარსება საქართველოს დამოუკიდებლობის მტერთ მიზანთან ასალოვებდა. აგიტაციიდან ისინი გადავიდენ მასების მობილიზაციაზე და დემაგოგიურად მოუწოდებდენ, რომ ერთობაშია ძალა, და ყველა გზები რომ შეერთდებ, მაშინ შესაძლებელი გახდება მძლავრი მომარაგებელი აპარატის შექმნა, მუშა იქნება მძლარი; პროვოკავშირების გაერთიანება იმდენ ავტორიტეტს შეუქმნის მათ, რომ პარტია სულ სხვანაირათ გაუწყვეს ანგარიშს, გაერთიანება განამატებს ქართველსომეხ-ადერბაიჯანელთა შორის ძმურ კავშირს. ამავე დროს ფარულათ ყოველ დღე მოდიოდა რუსის მოხელეების ეშვლონები ვითომც და «ძმურ» ამ.კავ. რესპუბლიკების დასახმარებლათ; ნამდვილათ კი ამ რუს მოხელეთა არმიის დანიშნულება იყო დათხოვნილ ქართველების ადგილები დაეკავებიათ და წმინდა გამართლებელი პოლიტიკა ეწარმოებიათ.

ქართველებს სამსახურიდან ითხოვდენ როგორც «მენშევიკებს» და მათ ადგილას რუსებს აყენებდენ. ამ უსირცხვილო პოლიტიკის გამტარებლებმა—შუშკოვ-მირონოვ-რუკვიმ და სხვამ—დაისწავლეს ქართულათ თავისი გვარის მოწერა და ცინიკურათ ასრულებდენ ამ რიტუალს დღით, ხოლო ღამით განუწყვეტელ ლოთობას ეწეოდენ.

აი ამ მტკივნეული საკითხების ირგვლივ მქონდა მე ლაპარაკი სტალინთან სამი საათის განმავლობაში. მან გულდადებით მომისმინა და შემპირდა ყოველივე დახმარებას. მითხრა აგრეთვე დამეწერა სპეციალური მოხსენება და მეორე დღეს მიგვლიყვა მასთან. მე შევასრულე მისი დავალება, წარუდგინე დაწერილი მოხსენება. სტალინმა ორჯონიკიძეს დაავალა ასლები გადაელო ჩემი მოხსენებიდან და თითო ასლი დაურთვა ცეკას ყველა წევრებს. ჩემმა მოხსენებამ მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ სტალინმა აუკრძალა ორჯონიკიძეს საგანგებო მატარებლების სარგებლობა; გარდა ამისა ყველაფერი ძვე-

ლებურად დარჩა; ნგრევა და უწესრიგობა გაძლიერდა და გაღრმავდა.

რუსეთიდან გამოგზავნილი ლოთი მოხელეები თავისუფლად და დაუსჯელად განაგრძობდნენ მუშაობას საქართველოს სამეურნეო ცხოვრების მოსაშლელად. ამას კარგად ხედავდა როგორც ადგილობრივი კომუნისტური ხელისუფლება, ისე სტალინიც. მოსკოვის მიზანი იყო, ფიქტიურად წამოეშალა საქართველოს დამოუკიდებლობა ფორმალურადაც გაეუქმებია, მხოლოდ საჭირო იყო საამისო საბაზი ეზოვა. ასეთ საბაზათ გამოდგებოდა ქვეყნის ცხოვრების ნორმალურ კალაპოტიდან ამოგდება. ამ საქმეს ემსახურებოდნენ სტალინის ლოცვა-კურთხევით რუსი მოხელეები.

ეს სასახელო საქმიანობა დასრულდა იმით, რომ 1923 წელს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა გაუქმებულ იქნა სათანადო დეკრეტით და გამოცხადდა მათი ფედერაცია.

გიბილეე ვაკაბაძე.

დამოკრივებულ ერთა მიმობარი

ამა წლ. 16 ოქტომბერს შეუსრულდა ოთხმოცი წელი დღიდან დაბადებისა ქართველი ერის ერთ-ერთ უკეთილშობილეს მეგობარს კარლ კაუცკის. ყველა ნამდვილი დემოკრატის მიერ მსოფლიო იუბილარი აღიარებულია დღეს სინდისით იმ მცირე რიცხვებში მიმდინარეობისა სოციალისტურ ინტერნაციონალში, რომელიც უკომპრომისოთ აღიარებს და იცავს დემოკრატიის და ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპებს.

ოთხმოცი წლის თავმა კაუცკის მოუსწრო ქ. ვენაში, სადაც უკვე რამდენიმე წელიწადია ის ცხოვრობს. ცნობილი გარემოებების გამო ამ საპატიო თარიღს ვერ გამოენამაურენ ყველგან ერთნაირად 80 წლის პატრიარქის მეგობრები და პატივისმცემელები, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩეხოსლოვაკიამ აუნაზღაურა თავის შვილს ის, რაც მას სხვებისგან დააკლდა. ვიცით, რომ კარლ კაუცკი მამით ჩეხი, დედით გერმანელი, დაიბადა 16 ოქტომბერს 1854 წ. ქ. პრადის ერთ-ერთ უძველეს, ისტორიულ ნაწილში. თვითონ ის სახლი, სადაც პირველად წაირწო აკვანი კარლოს—ისტორიულია და ამ სტრუქტურების დამწერს არა ერთხელ დაუთვალავებია «უნგელტი» (სახელია შენობის) ნიშნით პატივისცემისა საქართველოს მეგობრისადმი. მამა კაუცკის, ივანე, ჩეხი—რადიკალი, მონაწილე 1848 წლის რევოლუციის, იყო მოწოდებით მხატვარი და ჩვენი იუბილარი ბავშობის წანას ატარებდა ჩეხიის საუკეთესო ხელოვნების და მწერლობის საზოგადოებაში. დედა კაუცკის მინა, მწერალი ქალი, ჩამომავლობით გერმანელი, ნიჟიერი მსახიობი.—ჩეხურ ენაზე შესწავლილ როლებში გამოდიოდა თეატრებში, რომლებიც ამ დროს თამაშობდნენ დიდ ეროვნულ როლს ჩეხიაში. როცა კაუცკის შეუსრულდა 9 წელი, მშობლები გადასახლდნენ ვენაში და პატარა კარლო იზრდებოდა და ვაჟკაცდება გერმანულ კულტურის გავლენის ქვეშ. კაუც-

კის მრავალმხრივი ლიტერატურული შრომა და მოღვაწეობა საერთოთ ცნობილია და ამიტომ ამაზე აქ არ ვჩერდებით. საიუბილეო დღეს აქ პრესამ ხაზგასმით გამოყო კაუცკის დამოუკიდებულება ეროვნულ საკითხისადმი და კერძოთ ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის ერთგულება. და სწორეთ ეს საკითხი,—რანდული უკომპრომისო დაცვა ეროვნული დამოუკიდებლობის, პატარა დაჩაგრული ერების ინტერესი, ესაა რომ დღეს ჩვენ ასე გვიხალღებს კაუცკის და ავსებს ჩვენ გულს სიყვარულით მისდამი.

მთელი აქაური პრესა გამოენამაურა კარლ კაუცკის 80 წლის თავს და როგორც სოციალისტური, ისე ბურჟუაზიული პრესა ერთიანათ აღნიშნავდა: 1905 წელს კაუცკიმ გადაჭრით იწინასწარმეტყველა აუცილებლობა ავსტრო-უნგრეთის დაშლისა ეროვნულ სახელმწიფოებათ. ვერავითარი ძალით—ამბობდა ის, ეს ორთვიანი არწივი ვერ გაექცევა ამ ისტორიულ აუცილებლობას. დაიწყო თუ არა მსოფლიო ომი, პროფესორი მასარიკი, დღევანდელი პრეზიდენტი ჩეხოსლოვაკიის, გაექანა ბერლინში, სანამ დაიწყებდა თავის რევოლუციონურ მოქმედებას უცხოეთში, მონახა კაუცკი და შეეკითხა—თუ რას ფიქრობს ამოვარდნილი ქარიშხლის შესახებ; კაუცკი უპასუხებს,—ავსტრო-უნგრეთი გაქრება, თუ გინდ ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკმა გაიმარჯვოს. ვინ არ იცის—რა ერეტიკობა იყო ეს იმ დროს როგორც სოციალისტურ წრეებში, ისე ევროპის იმ დროინდელ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. აი სწორეთ ეს მოიგონა და აღნიშნა აქ მთელმა ნამდვილმა სერიოზულმა პატრიოტულმა პრესამ და მადლობით მოიხსენია მსოფლიო პოლიტიკოსი და პუბლიცისტი.

რასაკვირველია, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი გულწრფელობით და სიამაყის გრძობით გამოენამაურა იუბილეს სოც.-დემოკრატ. პარტია. მოთავსებულ იქნა მთელი რიგი წერილების კაუცკის დემოკრატიული და სოციალისტური დამსახურების აღნიშვნით, და გამოვიდა ამ დღისთვის მონოგრაფია: კარლ კაუცკი, მასწავლებელი ჩეხოსლოვაკიის პროლეტარიატის. სოც.-დემ. პრესა აღნიშნავდა—ავადდინეთ სახელმწიფოს ყოველნაირი ხიფათი როგორც მარჯვნიდან, ისე კომუნისტური გამხრწნელი გავლენისაგან, იმიტომ, რომ შეურყევლათ ვდგევართ კაუცკის თვალსაზრისზე დემოკრატიის საკითხშიო. დავრჩებით მუდამ მისი ერთგული მოწაფეები და არ დავივიწყებთ არასოდეს, რომ ჩვენს მასარიკს შორალურათ გვერდში ამოუდგა მისი ემიგრანტული აქციის დროსო. სოც.-დემ. პარტიის ერთი მეტაური, რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარე სოუკუპი 16 ოქტომბერს გაემგზავრა ვენაში და პირადათ მიულოცა კაუცკის პარტიის და ყველა პატრიოტების სახელით. ჩვენმა მეგობარმა სოუკუპმა გადმოგვცა, რომ კაუცკი გასაოცარი ახალგაზღვრული ენერგიით მუშაობს და სწერს დიდ შრომას დღევანდელი მსოფლიოს მდგომარეობის შესახებო,—თან დაუმატა, როცა ამას წინეთ ვინახულე ის, მთელი საღამო მხოლოდ საქართველოზე მელაპარაკა—გან-



საცვიფრებელია, როგორ ახსოვს ყველაფერი და თან მონახა აუარებელი ხელოვნური ნივთები საქართველოდგან პირადად წამოღებულიო. კაუცკის მიუღია მთელი რიგი მილოცვების სხვადასხვა ქვეყნებიდან ოფიციალური და არა ოფიციალური, ყურადღებას იპყრობს კი თურმე ადრესი შვეციის მთავრობის თავმჯდომარისაგან.

კაუცკიმ ისურვა, თავის სიბერის უამს ხელ-ახლა დაუბრუნდეს თავის სამშობლოს. ქ. პრალამ ის მიიღო თავის მოქალაქეთა და რესპუბლიკის მთავრობამ უბოძა სახელმწიფოს მოქალაქეობა. მას შეუძლია გადმოსახლდეს ჩეხოსლოვაკიაში, როდესაც ეს მოესურვება.

პრალის ქართველებმა მისალაცი წერილი გაუგზავნეს კაუცკის ვენაში და გახეთმა «პრაგო ლიდუმ» მოათავსა ემ. ლ.—ძის საუბილეო წერილი—«კაუცკი და საქართველო».

ბევრი კარგი წინასწარმეტყველება ასრულებულა ჩვენი კაუცკის, ვისურვოთ, რომ ასრულებულიყოს ახლო მომავალში მისი წინასწარმეტყველობა კომუნისტური დიქტატურის დანგრევის და «საქართველოდგან რუსეთის სიშტების გამოსვლის». გვენახოს კიდევ ის ერთხელ საქართველოში!

ემ. ლ.—ძე.

წყნარ ოკეანეს პრობლემა

1.

ევროპა ნახევარ კუნძულს მოგვაგონებს, სადაც ოთხასი მილიონი ხალხი ფუსფუსებს პოლიტიკურ, ეკონომიურ თუ ნაციონალურ წინააღმდეგობებით დატვირთული. მართალია, თანამედროვე მოსემ, ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ ვილსონმა, დიდი ომის დამთავრებისას სისხლით დაწურულ ევროპას 14 მცნება ჩამოუტანა, ევროპაში მოკლე ხნით აღორძინების იმედები დასთესა, ხოლო დიდ კლემანსომ ეს მცნებები თავისებურათ გადააქეთა, ამ მცნებებს, საფრანგეთის დიდ ომში გამარჯვების გამოხატულება მისცა და კაცობრიობას ვერსალის ხელშეკრულების სახით უძღვნა. ვერსალმა წინააღმდეგობები ვერ მოსპო, პირიქით მდგომარეობა ევროპაში გაართულა.

ევროპის რუკას დიდი ომის შემდეგ ბევრგან ახალი ხაზები შემოვლო, ახალი საღებავებიც თან დაერთო, ახალი დროშები აფრიალდა და იმედი იყო, ფეხზე დამდგარი ერები ახალ სულს ჩაჰბერავდნენ მოქანცულ, ძველ ევროპას. ეს იმედიც არ გამართლდა. ზოგან განთავისუფლებულნი ისევ დაიპყრეს, მაგრამ კრინტიც არავის დაუძრავს. ვინც ხელახლავ დაპყრობას გადაურჩა, ძველებს და ძლიერებს შესჩერებია. ევროპა წინააღმდეგობებით დატვირთული რჩება. ამ წინააღმდეგობათა თავდასაღწევათ სახელმწიფო მოღვაწენი ხან ლემანის ნაპირებზე აშენებულ აეროპლანს ეწვევიან და შემდეგ უშედეგოთ ერთმანეთ შორის აშკარა თუ მალულ ხელშეკრულებებს სდებენ, ხან დიდი ომის წინ არსებულ მეგობრულ კავშირების აღდგენას ლამობენ, ხან კიდევ ასიოდ

წლის წინ არსებულ დიდ სახელმწიფოთა («შინდა კავშირის» იდეა სინათლეზე გამოაქვთ პატარა და სუსტთა თავის კავლენის ქვეშ მოსაქცევათ. იქ, სადაც ტკბილი სიტყვა ვერ სჭრის, მუქარაა აგორებული. მუქარასაც გასავალი არ აქვს. ერთი სახელმწიფოს შეიარაღება ავტორმატიურათ მეორეს შეიარაღებას იწვევს. ერთმა უზარმაზარი გემი, ჯავშანში ამოქედილი ოკეანეში შეაცურა, მეორემ, დიდ ხომალდთა აშენების უფლება მოკლებულმა «ჯიბის» გემი შეჰქმნა. ერთმა აეროპლანები ტყვიისმფრქვეველებით თუ ყუმბარებით შეამკო, მეორემ—ამის უფლება მოკლებულმა—სამგზავრო აეროპლანები რამდენიმე წამში სამხედრო აეროპლანთ გადააქცია, მომწამვლავ ბაქტერიებით ლაბორატორიები გაავსო.

მართლაც რომ ევროპა ან ატლანტიკის ოკეანეში ჩაიძირებოდა ან აფრიკასავით ამოიწვებოდა, რომ სასოწარკვეთილისთვის აზიას ხელი მაგრა არ ჩაეჭიდა და ევროპისთვის ტვირთი ნაწილობრივ არ მოეხსნა; იმ აზიას, სადაც მიწა-წყალიც ბევრია, ბუნებრივი სიმდიდრე ულავი და ჯერ კიდევ გამოუყენებელი და სადაც თავისუფლად თარეში ბევრათ უფრო იოლია, ვინემ ევროპაში. აქეთკენ გზა ატლანტიკის ბატონებმა გაიკვლიეს. მადა ვაეხსნა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებსაც; ის თავის თავს სანახევროთ წყნარ ოკეანურ სახელმწიფოთ სთვლის. მის ნაპირებს ხომ წყნარ ოკეანეც ჰბანს და ატლანტიკაც.

ცნობილია რომ, რუსეთი საუკუნეების განმავლობაში ხეტიალის შემდეგ, ერთ ადგილას დამკვიდრდა, დამკვიდრდა ევროპაში; მარა არა ნაკლებ ცნობილია ისიც, რომ მისი სისხლი და კულტურა აზიის ერების სისხლით და კულტურითაა გაქლნთილი. ატავიზმის ხმამ მასაც პირი აზიისკენ აქნევინა. კავკასიის დიდი სიძნელის გადალახვის შემდეგ, რუსეთმა იარა, იარა და თითქმის დაუბრკოლებლივ—შორეულ აღმოსავლეთში ზღვის კიდევებს მიადგა. ამ რიგათ ტვირთ მძიმე ევროპა ნაწილობრივ განიტვირთა. ხოლო წყნარ ოკეანეს სიწყნარე დაირღვა. ათეული წლები საკმარისი შეიქნა წყნარ ოკეანეს მშფოთავ ოკეანედ გადასაქცევათ.

კიდევ დიდ ომამდე დიდ ერთა შეხლა შემოხლათა ცენტრი ამ უკანასკნელის ნაპირებისკენ გადაიწია, ხოლო დიდი ომის შემდეგ წყნარ ოკეანეს პრობლემა უდიდეს საერთაშორისო პრობლემათ გადაიქცა. უცხოდან მოსულნი დაეპატრონენ მდგომარეობას. აღებ-მიცემობა მათ ხელში გადავიდა. წყნარ ოკეანეს ნაპირების ვაჭრობა მათ კონტროლს დაემორჩილა. ატლანტიკის წინაშე, წყნარ ოკეანემ წყნარათ თავი მოიხარა. მისი ბატონობა იცნო. აზიის ნაპირების პატონათ თვით აზია ვერ გამოდგა. ამ ნაპირებზე ვანსაკუთრებით ანგლო საქსის ერები—ინგლისი და ამერიკა შენმატკბილებულათ გამოვიდნენ.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დიდ სახელმწიფოთა კონცერტში დისონანსი შეიტანა ოცდაათ მილიონიან იაპონიის ერმა, ენერგიითა და ინიციატივით სავსემ, პატარა კუნძულებზე თავმოყრილმა. კუნძულებზე ევროპიელთ თუ ამერიკელთ ცოტაო-

დენი წარმოდგენა ქონდათ; იცოდენ, რომ აქ სწორად მიწა დელავდა. ხოლო—ერზე არავითარი. ამ ერმა არ ინება მუდამ მოძრავე, უწყალო კუნძულებში ჩაღრჩობა. აზიის ნაპირებზე გადასვლა სცადა. ნაცადი კარგი გამოდგა. 1874 წელს აზიის მატერიკი შენაძრია, ოთხასი მილიონიანი ჩინეთი დაამარცხა. ამ დროდან ამ ერს დამარცხება არ ახსოვს. 1894-95 და 1900 წლებში ახალი გამარჯვება იმავ ჩინეთზე იაპონიას ფეხს აკიდებებს აზიის მატერიკზე. იაპონია კორეაშია და ხელს ადებს კუნძულ ფორმაზას.

კარეაზე იაპონიის პროტექტორატი გამოცხადდა და მან თანდათანობით იწყო თავის ღარიბ კუნძულებიდან ზედმეტ მოსახლეობის აქ გადმოყვანა. თავის კუნძულებს პირველი ეკონომიური ბაზაც, აზიის მატერიკზე მოჰპოვა; მისი რკინის და ქვანახშირის გამოყენება დაიწყო. უკანასკნელი გამარჯვების შემდეგ ჩინეთზე, იაპონიის ზღვა იაპონიის ოჯახში შევიდა. ეს ზღვა იაპონიამ თავის შინაურ ზღვად გახადა.

იაპონიამ ფორმაზაზე თავისი სააღებ მიცემო ექსპანსიის დასაყრდნობი ბაზაც გაიჩინა. იაპონიის გამარჯვებების მნიშვნელობა ყველაზე უწინ დიდ ბრიტანეთმა იგრძნო. ამომავალი მზის ქვეყნის, აზიის მატერიკზე გადმოსვლის მნიშვნელობა და კუნძულ ფორმაზის დაკავება სხვებზე უკეთესად მან დააფასა. აზიის, კიდევ ორიოდე ათეული წლის წინ სრულიად უცნობ ერს, ხელი გაუწოდა. 1902 წელს მასთან კავშირი დასდო. ევროპის სახელმწიფოები და ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები ამ აქტით უკმაყოფილონი დარჩნენ, მაგრამ ჩაჩუმდნენ.

II.

დიდი ბრიტანეთი რუსეთის ტრადიციული მტერია, იმ რუსეთის, რომელიც ჩაწვა შუა აზიაში და დიდ ბრიტანეთის მთავარ სამფლობელოს—ინდოეთს—დღითი დღე უახლოვდება, ერთ მშვენიერ დღეს მის გადასაყლაპათ გამზადებული. ინგლისმა აზიაში ინიციატივით და ენერგიით სავსე იაპონიას დაუკავშირა და მისი საშვებლებით რუსეთის იმპერიის-ტურთი ზრახვანი შეანელა. დიდი ბრიტანეთი შორეულ აღმოსავლეთში გამაგრდა. ინგლის-იაპონიის შორის დადებული კავშირის მთავარი მიზანი რუსეთის დაჩიხვაა.

ინგლის-იაპონიის კავშირი ამავე დროს ერთგვარი დიპლომატიური სანქციაა ამ ორ სახელმწიფოთა სააღებ-მიცემო ჰეგემონიის წყნარ ოკეანეს ნაპირებზე. იმ დროს როდესაც ინგლისის ინტერესები უმთავრესად მოქცეულია სამხრეთ ჩინეთში და ტიბეტში, იაპონიის დანაზრჩენ ჩინეთში. ამ კავშირმა დიდად შელახა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების, საფრანგეთის, გერმანიის და სხვათა კომერციული ინტერესები წყნარ ოკეანეს ნაპირებზე, განსაკუთრებით პირველის. ჩინეთის მთელი საგარეო ვაჭრობის მოზრდილი ნაწილი ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების ხელთაა, პოლიტიკურათ მისი დიდი გავლენაც ამ უზარმაზარ ქვეყანაში უდავოა. ინგლის-იაპონიის კავშირის შემდეგ უდავო შესაძლოა სადავოთ გადაიქცეს, მისი საგარეო ვაჭრობაც დაზიანდეს

და ეს დიდად აფიქრიანებს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს.

მეტად დიდ საგონებელში ვარდებიან დიდი სახელმწიფოები მას შემდეგ, რაც რუსეთმა სასტიკი დამარცხება განიცადა იაპონიასთან 1904-05 წლების ომებში. იაპონიამ სცადა მეფეთა რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის სამფლობელოში შეჭრა, აქაურობის ამოძრავება და სიმდიდრეთა გამოყენება. ორ მილიონიანი ჯარი რუსეთს დაუმარცხა. გამარჯვებას შედეგათ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის სამხრეთ შტოს იაპონიის ხელში გადასვლა მოჰყვა. იაპონიის ამ გამარჯვებით დაკმაყოფილებული ინგლისი, კიდევ უფრო დაუახლოვდა იაპონიას; მან არა თუ განახლა 1905 წელს მასთან კავშირი, ოფიციალურათ იცნო იაპონიის განსაკუთრებული ინტერესები კორეაში.

იაპონიასთან ომში დამარცხებულ რუსეთმა, შორეულ აღმოსავლეთში აგრესიული პოლიტიკა შეანელა. ინგლისი დათმობების გზას დაადგა. ამ დათმობების შედეგად 1907 წელს ინგლის-რუსეთ შორის მომხდარი შეთანხმება.

გამარჯვებას გამოყენება სჭირია. გამოყენების ნიჭი იაპონიას არ აკლია. სამხრეთი მანჯურია რკინის გზის ქსელებით მოიფინა და კორეაში გამავალ რკინის გზას შეუერთა. თავისი ღარიბი კუნძულები, ბუნებით მდიდარ სამხრეთ მანჯურიას გადააბა. ჩამორჩენილი კორეა და სამხრეთი მანჯურია კულტურულათ თვალსაჩინოთ გაიხარდა. მარტო კორეაში. ძლიერ მოკლე ხანში 400 მილის სიგრძეზე რკინის გზებია აგებული. 16 ათასი მილის სიგრძეზე სატელეფონო ქსელები. ორივე მხარეში გაყვანილია ტრამვაები. აყვავდა სოფლის მეურნეობა. გაუმჯობესდა ქალაქების სანიტარული მდგომარეობა. გასულ საუკუნის სამოცდაათიან წლებში მრეწველობის განვითარების და სახლგაო ვაჭრობის მხრივ ჩამორჩენილ იაპონიამ მთელი ძალ-ღონე მოანდომა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. კიდევ 1877 წელს იაპონიის ვაჭრან-შემოტანის საერთო ჯამი ორმოცდაათ მილიონ იენს არ აღემატებოდა. რუსეთის დამარცხების შემდეგ, სახელდობრ, 1907 წელს მისი საგარეო ვაჭრობა 927 მილიონ იენამდე ავიდა. იაპონიის კუნძულები ღარიბია რკინით, ქვანახშირით, სწორეთ იმით, რაც მრეწველობას ასახდობს. ღარიბია კორეაც. ორთავენი ერთად წლიურათ 324.000 ტონა რკინას იძლევიან. იაპონიის გაფართოვებული წარმოება კი ამ პერიოდში, ერთ მილიონ ტონა რკინას მაინც ითხოვდა. რკინით, ქვანახშირით მანჯურიაა უთარესათ მდიდარი. იაპონიამ მანჯურიაში სამხრეთით შესავალი კარები შეამტვრია. სამხრეთი მანჯურია მოკლე ხანში იაპონიის კუთვნილებათ გადაიქცა. დაიწყო ამ მდიდარ კუთხის ქვანახშირის, რკინის გამოყენება, იაპონიის კუნძულების ინდუსტრიისთვის საზრდოს მიწოდება, უმიწაწყლო და უმუშევარ თანამემამულეთა გადასახლება.

იაპონია გახდა ამ მხარის მდგომარეობის ბატონი.

(შემდეგი იქნება)

ი. სალაგაია.



ქართული სიმღერა

(გაზეთი «Deuts. Allgem. Zeit.» ბერლინი 15 ივნისი)
ქართული სიმღერები ს. ფ. ნადელის კომისის გამოცემა, ლაიპციგი.

«ეს პირველი სამუსიკო-სამეცნიერო შრომა ბერლინის უნივერსიტეტთან არსებულ ხმების სარკვევ ინსტიტუტისა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ეს გვაცნობს ევროპის სახალხო მუსიკის იმ დარგს, რომელიც აქამდე სრულიად უცნობი იყო და რომელიც, როგორც სამუსიკო ისე სახალხო მეცნიერებისათვის. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. კავკასია.— ეს ძველი გზა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და კარები, საიდანაც ევროპას ხალხები აწობოდნენ, ღირსშესანიშნავია კულტურულ და რასიულ თავისებურებებით. ამ თავისებურებებში, უნდა ვიფიქროთ, წინაინდო-გერმანული, «ევრაზიული» კულტურის და რასის ნაშთია თავშენახული. ამ თავისებურებათ უმთავრესათ ქართველები ინახავენ და განსაკუთრებით დასავლეთი საქართველო, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში კარჩაკეტილი ცხოვრობდა და როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კულტურის გავლენას უფრო ნაკლებათ განიცდიდა, ვინემ ადრე გაქრისტიანებული და აგრეთვე გამუსულმანებული აღმოსავლეთი საქართველო. ჩვენ დასავლეთ საქართველოში ვნახულობთ ბევრ ისეთ კულტურულ ელემენტებს, როგორსაც ჩრდილო, ძველი ინდო-გერმანულ კულტურულ მხარეში ვხვდებით. მუსიკა ასეთი ხალხის, რომელსაც უძველეს დროის ასე მრავალი კულტურული ელემენტები შეუნახავს, განსაკუთრებული ინტერესის ღირსია, შესაძლოა ამ მუსიკაში ისახებოდეს ნაშთი ძველი ჩრდილო ანდა კიდევ წინაინდო-გერმანულ სახალხო მუსიკისა. სხვა თავისებურებათა შორის ქართულ მუსიკას აქვს ერთი განსაკუთრებული თვისება—ტიპური მრავალხმოვანობა, პოლიფონია ვოკალურ მუსიკის ძველი, პრიმიტიული ტიპის, რომელიც დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნოების მრავალხმოვანობას მოგვაგონებს.»

D-r Nadels გამოკვლევა ცხადყოფს, რომ დასავლეთ საქართველოს ტრადიცია მომღერალ გუნდის სამ ხმაზე აწყობისა მომდინარეობს არა დასავლეთ ევროპის საეკლესიო ტრადიციიდან, არამედ უძველეს სახალხო მუსიკიდან კერძოთაყვანისცემის დროიდან, შესაძლოა ძველი ინდო-გერმანულ ხანიდან. თუ ეს მანდამაინც ქართულ მრავალ ხმიანობის ფორმების შესახებ არ ითქმის, რადგან ამ მხრივ არ არის ერთი და იგივეება ისლანდელ და საშვალო საუკუნოების დასაწყისის მრავალხმიანობის ფორმებთან, ის ფაქტი მაინც რომ ამ ქვეყანაში, რომელსაც ასე ბევრი კულტურული საერთო აქვს ინგლისთან და სკანდინავიის ქვეყნებთან (ესენი დღემდინ პირველ წყაროს ქვეყნებთან ითვლებოდნენ), მეტად ამტკიცებს, რომ მრავალხმოვანი მუსიკა არსებობდა ქრისტეს წინ, ჩრდილო ხანის დასაწყისში, შესაძლოა წინა ინდო-გერმანულ ხანაში.

შრომა სხვა მხრივაც საინტერესოა. აღსანიშნავია აგრეთვე სიმღერის განსაკუთრებ-

ბული მანერა, რომელიც მხოლოდ ალპებშია კიდევ შენახული უძველეს კულტურის ამ რეზერვატში: ირღელა.

შერჩეული კრებული ჩვიდმეტ სიმღერათა ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ქართულ სახალხო სიმღერის ფორმებისა და ხელოვნების შესახებ.
D-r F. Bose.

ბენია ჩხიკვიშვილი

(პედაგოგის მოვლენა)

I.

1912 წელი. ციმბირის ყრუ გზაზე მიქანება პოლიტიკურ ტუსათა გულჩათხრობილი წყება.

შორს წინა რიგში ყურადღებას იპყრობს გრძელ ხალათში გახვეული ახოვანი ტინის კაცი—ტუსალის დაფლეთილ ქუდში.

ალექსანდროვის საეტაპო ციხიდან გამოსულებმა ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით ერთმანეთს გაცნობილი და... «ტუსალი დაფლეთილ ქუდში» ყურადღებას იპყრობს... შეიძლება ნაცნობია?

რამდენათაც დალილობა გვიპყრობს. პიროვნების დაინტერესებაც ნელდება.

ბოლათ ამდგარ მტერის ბურუსში იკარგება ლანდი «ადამიანის დაფლეთილ ქუდში». მთელი ყურადღება მიპყრობილია წინასწარობის შერჩენისაკენ. გრძელი ხალათები ფეხებში გვეხლართება; მაგარი «ტრეპით» (ხის მძიმე ფეხსაცმელი. რედ.) დამძიმებულია დაჩხვლეთილი, გასისხლიანებული, დასივებული ფეხები.

აუტანელი პაპანაქება დამტვერი სულთქმას გვიძნელებს, ხახას გვიშრობს.

«პრივალამდე» (დასასვენებელი ადგილი) ჯერ კიდევ 12 ვერსია. აქა იქ მოისმის მძიმე ამოხვრა, დალილობისაგან გულწასულ ხალხის ზურგზე «გათამაშებულ» თოფის კონდანით გაყრუებული.

ნახევრათ მთვრალ «კონფიორების» თვალები— ცოფიანი გამომეტყველებით—საოცრათ ემგზავსება ბუყვრიალა ხიშტებს. ირგვლივ გამეფებული «კომმარი» ცნობიერების სიჩლუნგეს იწვევს. საღდაც წინა რიგიდან მოისმის გაბედული პროტესტი: ნე სმეი ბიტ!

ეს ვაჟკაცური შეძახება წუთით სულის თქმას უკმევს 150 დასუსტებულის ფილტვებს, აყრუებს ბორკილთა მონოტონურ ხმაურს.

ვისი იყო შეძახება? ყურადღება წინა რიგებისაკენ მიილტვის. მტერის ბოლში მოსჩანს სილუეტი «ადამიანის დაფლეთილ ქუდში»—მიბრუნებული პროფილით და ხელების ქესტიკულიაციით რაღაცას ამბობს. მისი ხმა ყრუ და გაყეფილი ვერ აღწევს შორეულ წყებას.

«დაფლეთილ ქუდში ტუსალის» წარბშეკრული თვალები საოცარი ცეცხლის ფრქვევით მისჩერებია ჯარის კაცის ბრიყვულ გამომეტყველებას, რომელსაც—«დაფლეთილ ქუდში ტუსალის» იმპერატივის ქვეშ მყოფს—ნება დაჰკარგოდა.

მტვერი კვლავ ბურუსში ხვევს მის გარეგნობას,



სამაგიეროთ მოსჩანს როგორ ამგვრებს ის ფეხზე თავისი მკერდით ნახევრათ გულწასულ ამხანაგს...

როგორც იქნა მივალწიეთ «პრივალს». ბრძანებას: «დასხედით!» წინ უძღვის «კონვოის» კომენდანტის განცხადება, რომ ბენიამინ ჩხიკვიშვილი ფეხზე დგომით დაისვენებს, რადგანაც გადასახლებულ სახაროვის დაცვის მიზნით «ბუნტის» გამოწვევა მოიწადინაო.

ადამიანი დაფლეთილ ქუდში უსიტყვოთ ღებულობს სასჯელს.

დადგაკიდევ. სამაგიეროთ მასთან ერთად ფეხზე დგება ყველა გადასახლებული, რამაც კონვოის პირუტყვი კომენდანტი იძულებული გახადა ბენიამინ ჩხიკვიშვილისთვის სასჯელი მოეხსნა.

II.

1913 წელი. გადასახლებულ ვოროპაევის დიდ ქოხში, რომელიც იდგა კირენსკისთან მახლობელ სოფლის მელნიჩნაის განაპირას, მოწვეული იყო პოლიტიკურ გადასახლებულთა საიდუმლო კრება. კრება წარმოადგენდა ნამდვილ კონგლომერატს როგორც პოლიტიკურის ისე ეროვნული შემადგენლობით. კედელზე მიდგმულ მაგიდასთან ერთი მეორის გვერდით სხედან: ბოლშევიკები, ესერები, პეპეესები (პოლონ. სოც. პარტია), ლიკვიდატორები, მენშევიკები და ანარხისტებიც კი. კრების მიზანი იყო ესერ პარტიის რეფერატის მოსმენა; რეფერატის დედა აზრს შეიცავდა ესერების ხელმძღვანელობით ყველა რევოლუციონურ ჯგუფთა გაერთიანება ცარიზმთან ბრძოლაში.

ვინ იცის, თუ ეს კრება რა ისტორიულ მნიშვნელობის რეზოლუციის მიღებით დასრულდებოდა, რომ მომხსენებელს არ გამოემყდნენთა თავისი იმპერიალისტური სახე პეპეესის წინააღმდეგ გალაშქრებით.

გაპრიტიკა რა პოლ. სოც. პარტიის რევოლუციონური ფრაქციის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებანი, რომ ეს მისწრაფებანი ესერების თვალსაზრისით ღირსია მსჯავრის დადების, დაუმატა: პოლონეთის სოციალ. პარტიის ასპირაციები პოლონეთის დამოუკიდებლობის საკითხში მიდის შორს, ამიტომ რუსეთის რევოლუციონური ნაწილი მას მხარს ვერ დაუჭერსო.

ამ კრებაზე ყველა დამსწრე რუსი რევოლუციონერი ერთ ამ პუნქტში ჰპიტს დაეთანხმენ. და მიტომაც ამ სოციალური სოლიდარობის საპასუხოდ ჩვენ პეპეესებმა დემონსტრირებულ კრება დავსტოვეთ. ჩვენ მოგვყვა ბენიამინ ჩხიკვიშვილი და კრებაზე დამსწრე ორი ქართველი.

ჩვენს შეკითხვაზე თუ რატომ დასტოვეს კრება, — ჩხიკვიშვილმა გვიპასუხა:

«ქართველები განლავართ»...

შინაარსით ასეთი ღრმა ჩხიკვიშვილის ეს მოკლე პასუხი მით უფრო უკეთ გასაგებია დღეს, თუ წარმოვიდგინებთ, რომ რუსეთის იმ დროის რევოლუციონური ნაწილის პოლიტიკაში ყოველთვის გამოსწვრივოდა ცუდად დაფარული რუსეთის შოვინიზმი. მთელ რიგ ერთა უცხო ატმოსფეროში ძალით ჩაჭედა და ერთის მხრით ამ ნაწილის მიერ მათი ინტერე-

სის აბუჩათ აგდება, მეორეს მხრით რუსეთის იმპერიალიზმის ბორკილი გვიძულებდა განსაკუთრებით ჩვენ პოლონელებს და აგრეთვე ქართველებს საკუთარი გზის გაკაფვას...

როდესაც თვალწინ მიდგება მწარე ბედით სავსე მაშინდელი ჩვენი საერთო ცხოვრება (კირენსკი, მელნიჩნაია 1912-1915 წ.), ჩემს მესხიერებაში ცოცხლებიან ჩხიკვიშვილის მაშინდელი აზრები, — როგორ სწორათ ქონდა წარმოდგენილი დღევანდელი მდგომარეობა!..

საერთო მიზანი და მისწაფებანი ხელს გვიწყობდა ჩვენ პოლონელებს ბენიამინ ჩხიკვიშვილის სათანადოდ დაფასებაში და ვაგებაში.

გვაკავშირებდა მასთან უგულითადესი დამოკიდებულება, რომლის გამოსახლება იყო სოლიდარობა გადასახლებულ რუს პოლიტიკურთა შორის გამეფებულ იმპერიალისტურ სულისკვეთების წინააღმდეგ ბრძოლაში...

ჩვენში — ყოფ. გადასახლებულებში, მასთან საერთო ბედის გამზიარებელთა ამხანაგებში — ხსოვნა ბენიამინ ჩხიკვიშვილის იქნება მარად ცხოველი, როგორც ცხოველია მისი იდეა ქართველთა ახალთაობაში.

St. Karas.

(პოლ. საგ. საქ. სამინ. ყოფ. პოლიტ. რევერენტი)

შპრ გამარჯვება, მირა ზაზი...

როგორც ეს ოთხი წლის განმავლობაში დებატებიდან დამტკიცდა ყენევის ტრიბუნალში, იქაურ სოც. გაზეთი «ტრავაი» 1924 წ. მიწურულამდე ქართულ საქმეს სიმპატიით ეყვრობოდა და მის სასარგებლოდ ცნობებს და სტატიებს აქვეყნებდა. ამ პერიოდისადაც კი მან მხარი იცვალა, დაიწყო თანდათან განზიარება ქართულ საკითხში ბოლშევიკური ინფორმაციების ბეჭდვის, მათი ტყუილის გავრცელების და საზოგადოდ მათი პოზიციის დაცვის. მაგრამ იქ მყოფი საქართველოს წარმომადგენელი ხ. შავიშვილი ყოველთვის ასწორებებდა სხენებულ გაზეთის რედაქციას გამოქვეყნებულ ტყუილს ხან ქართულ პრესის ბიუროს სახელით, რომელსაც ის განაგებდა, ხან კი უსახელოდ.

1927 წ. «ტრავაის» დირექტორი ლეონ ნიკოლი, რომელიც ყენევის სოც. პარტიის ლიდერიცაა და რომელიც შემარცხენებოდა, ცნობილ ფრანგ კომუნისტ მწერალს ბარბიუსს დაუმეგობრდა და მის კამპანიას საქართველოს წინააღმდეგ სავსებით შეუერთდა. ამ გარემოებას შავიშვილმა შვეიც. სოც. პარტიის ყურადღება მიაქცია, რომლის ნაწილიც ყენევის სოც. პარტიაა, და მოითხოვა ბოლო მოღებოდა დაჩაგრულ ერის წინააღმდეგ უღირს გალაშქრებას. პარტიამ ეს საჩივარი სამართლიანად იცნო, «ტრავაის» საყვედური გამოუცხადა და მოუწოდა, დასთხოვოდა ბრძოლას ქართველების წინააღმდეგ. მაგრამ ნიკოლი თავისას არ იშლიდა. ამიტომ პარტიამ ინტერნაციონალის მოხმარება დააპირა და ამ მიზნით ხ. შავიშვილის ერთი მიმართვა მას გადაეგზავნა გან-



სახილველათ. მისმა მდივანმა ადორმა ეს ინტერნაციონალს არ მოახსენა და უკან დაუბრუნა პარტიას. ინტერნაციონალის მდივნის ასეთმა საქციელმა აჯანყებული ნიკოლი კიდევ უფრო გაათამაშა, მან პარტიას ენევის ნაწილი დაუპირდაპირა და თვით ინტერნაციონალს კომუნისტური კრიტიკით, ე. ი. გინებით მიადგა.

თუ აქამდის საქართველოს წინამდევ თავის გამოსვლებში მის წარმომადგენელს შავიშვილს გვერდს უვლიდა და დიდის რიდით ეპყრობოდა, ახლა კი თავის პარტიაზე და ინტერნაციონალზე გამარჯვებით წაქეზებულმა ნიკოლმა ეს მორიდება უგუჯდო და შავიშვილზე პირად თავდასხმით და მისი დამარცხებით უმთავრესი დაბრკოლების მოსპობა განიზრახა. მართლაც 1928 წ. 22 და 25 აგვისტოს «ტრავის» და «დრუა დე პეპლის» ნომრებში წერილები მოთავსა (ხელის მოუწერლათ და შავიშვილის დაუსახელებლათ, მაგრამ საკმარისად მისახვედრათ, თუ ვინ ყავდა სახეში): «კავკასიის ნავთით დაინტერესებულ კაპიტალისტებზე, საქართველოში ინგლისის ოქროთი მუშაობის მოწყობაზე» და სხ. და რადგან ეს წერილები სტრატეგიული მოსაზრებით განგებ გადახმული იყო «ეურნალ დე ენევი»-თან ადგილობრივ საქმეებზე პოლემიკაში, ის დაასკვნიდა შემდეგ: «ჩვენ ვიცნობთ «ეურნალ დე ენევის» ინფორმატორებს, რომლებმაც ნავთის სუნი უდის და რომლებმაც ჩვენს წინამდევ სოც. ინტერნაციონალში და შვეიც. სოც. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სიჩივარი აღძრესო».

ამ გამოსვლებში შავიშვილმა დიფამაცია დაინახა და ვინაიდან მას ყოველივე საშუალებები მორიგებით საქმის გათავებისათვის ამოწურულათ მიიჩნდა, მის წინაშე დადგა საკითხი: იძლეოდა ეს საკმარის იურიდიულ ელემენტებს სამოქალაქო სასამართლოში საჩივრისათვის თუ არა? მას სწამდა პირველი, მაგრამ მაინც მიმართა გამოჩენილ მეგობარ იურისტებს, რომლებმაც, გარდა პოლბონკურისა, უარყოფით უპასუხეს: «თქვენ არ ხართ პირადად დასახელებული—ამბობდენ ისინი—და ძალიან ძნელი იქნება დამტკიცება იმის, რომ სწორეთ თქვენ ყავხართ სახეში და არა სხვა ვინმე, მით უმეტეს, რომ ის მრავლობითს რიცხვს ხმარობსო».

ბ. შავიშვილმა ორჯერ აცნობა შვეიც. სოციალ. პარტიას და ინტერნაციონალს, რომ ნიკოლს სამოქალაქო სასამართლოში მიცემას უპირებს, რადგან მათ არა უპასუხეს რა, თავისი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა. გაჩაღდა თუ არა პროცესი, ზოგმა სოც. პარტიებმა, მეგობრულათ განწყობილმა წრეებმა და პიროვნებებმა თავიანთ მოვალეობათ დაინახეს ყოვლად უღაზათო, ხშირად უფროვო და დაუშვებელი ჩარევები მოეხდინათ, რასაკვირვლია, კონფლიქტის შენელების და შერიგების მიზნით. ურჩევდენ შავიშვილს ამაო ბრძოლაზე უარი ეთქვა, დათმობაზე წასულიყო. მაგ. ინტერნაციონალის მდივანი სწერდა მას: «თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ის დიდი პარტიის ლიდერია, თავის მიწა-წყალზე, თავის სახლშია, თქვენ კი უცხოელი და გარიყული ხართო!» გამოდიოდა, რომ თუ შენ უცხოელი და სუსტი ხარ,

მეგობრებმაც უნდა მიგატოვონ, ძლიერს მხარი დაუჭირონ და შენ ასე კიდევ უფრო დავასუსტონ, თვითონაც თავი არ უნდა დაიცვა, დაიხოქო და ყოველივე ღირსებაზე უარი სთქვა. მაგრამ ისინი მეტსაც მოითხოვდენ: ერის უფლების დაცვაზე ხელის აღებას, რადგან სწორეთ ამ უფლების წინამდევ იყო მიმართული მაშინ ნიკოლის ყველა სტატიები...

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ კონფლიქტი ამოიწურა და შერიგებაც მოხდა არა დამარცხების, არამედ გამარჯვების ხაზზე. ენევის სასამართლოს პირველ ინსტანციაში შ—ლის მიერ მოგებული პროცესი დაადსტურა ენევის ტრიბუნალის სააპელაციო სამსაჯულომ გასული წლის 5 დეკემბერს, ე. ი. სწორეთ ნიკოლის ენევის კანტონალურ მთავრობის თავმჯდომარედ არჩევის პირველ დღეებში, რაც თავის თავად მოწმობს იმას, რომ სიმართლე მეტის მეტი სიაშკარავით იყო შავიშვილის მხარეზე და მისი მიფუჩეჩება შეუძლებელი შეიქნა. მაგრამ ეს განაჩენი შეეხებოდა მხოლოდ ენევის გაზეთ «ტრავაიში» მოთავსებულ ცილისწამებებს და ლოზანაში «დრუა დე პეპლში» გამოქვეყნებულ დიფამატიურ სტატიების პროცესი, რომელთა ავტორი იგივე ნიკოლი იყო. უნდა მომხდარიყო წარსულ აპრილში. ენევის ტრიბუნალის განჩინებით დამნაშავედ ცნობილმა ნიკოლმა 24 მარტს, ვეკილებს საშუალებით, ლოზანის საქმის მორიგებით გათავება ითხოვა, რომლის პირობათ იძლეოდა ყველა ხარჯების დაფარვას და ენევის ტრიბუნალის დადგენილების ორივე თავის გაზეთში («ტრავაი» და «დრუა დე პეპლ») გამოქვეყნებას. 26 მარტს შავიშვილმა უპასუხა, იმავე ვეკილების საშუალებით, რომ მას ეს პირობები მისაღებათ მიიჩნია. მაგრამ გავიდა ორი სამი თვე და საქმე არ მოგვარდა. შ—ლი მოთმინებიდან გამოვიდა, ვეკილები გარეკა და ნიკოლს კითხვა პირდაპირ დაუსვა: «თქვენ გვთხოვთ მორიგებით საქმის გათავება. მე ეს წინადადება მივიღე. საქმე არ თავდება რა მიზეზია? ნუ თუ თქვენთვის თქვენივე წინადადება მიუღებელია?» ამ შეკითხვაზე ნიკოლმა უხერხულობა იგრძნო და უპასუხა შავიშვილს, რომ აზრი არ გამომიცვლიაო. გაიმართა მოლაპარაკება და მოხდა შეთანხმება, რომელსაც ორივე მხარემ ხელი მოაწერეს. მართლაც «ტრავის» და «დრუა დე პეპლის» 4 ივლ. ნომერში გამოქვეყნებულია შემდეგი: ენევის სასამართლომ გააჩნია რა ბ. შავიშვილის საჩივარი ბ. ნიკოლისა და ვაზ. «ტრავისს» წინამდევ, დაადგინა: «ბ. ნიკოლი ცნობილ იქნეს დამნაშავე მხარეთ და მიესაჯოს სასამართლოს ხარჯების გადახდა. ეს დადგენილება უნდა გამოქვეყნებულ იქნეს ვაზ. «ტრავაი» და ბ. ნიკოლის ხარჯზე ოთხ გაზეთში, რომელსაც ბ. შავიშვილი აირჩევს.»

ეს დადგენილება დაამტკიცა ენევის უმაღლესმა საკასაციო სასამართლომ...

ამ ფაქტიური აღნიშვნის შემდეგ საჭიროთ მიგაჩნია გამოვთქვათ ჩვენი სრული კმაყოფილება, რომ, მიუხედავთ რუსეთის ერთა ლიგაში დაშვების მხურვალე მომხრეობის და მისთვის ცხარე კამპანიის გაწევისა, ხსენებულ გაზეთებს არამც თუ არ გაულაშქრნიათ ქართველი ერის უფლებების წინამდევ,



არამედ ერთხელაც ცუდათ არ მოუხსენებიათ საქართველო. ამ ნაირათ, მთელი სამი თვის მანძილზე საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ თუ წინამდევ გამგებულ კამპანიის წარმოებისა, საქართველოს უფლების დაცვაში ერთხლოდ ერთხელაც არ დაარღვეულა ყენვის პრესაში და საერთაშორისო წრეებში.

წერილი ამერიკიდან

კვირას, 19 აგვისტოს, თითქმის ყველა შეერთებულ შტატების გაზეთებმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს «ამერიკის მუშათა ფედერაციის» პრეზიდენტის ვილიამ გრინის განცხადება, რომელიც შედეგი იყო იმავე ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტის კონფერენციისა.

გ. გრინმა მიმართა უმაღლეს ფედერაციულ მთავრობას, ქალაქების მართველობას და «ამერიკის მუშათა ფედერაციის» წევრებს, რომ სასტიკი ზომები მიეღოთ ამერიკაში მყოფ კომუნისტების წინააღმდეგ.

«საჭიროა მოგერიების ტაქტიკიდან იერიშებზე გადავიდეთ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში» — განაცხადა მან. «კომუნისტები არის არა ამერიკული მოვლენა; მისი ფილოსოფია ეწინააღმდეგება ამერიკის მუშათა ფილოსოფიას. კომუნისტები არის მხოლოდ არსებული პოლიტიკური წესწყობილების დამამხობელი პარტია, რომელიც ხრწნის მუშებს და ხელს უშლის მის ეკონომიურ განვითარებას», განაცხადობს გრინი. «ჩვენ ვცდილობთ გავაუმჯობესოთ მუშათა მდგომარეობა: ავწიოთ ცხოვრების სტანდარტი უმაღლეს წერტილამდე. ჩვენ ვცდილობთ ამის მიღწევას ორგანიზაციულ სავალდებობით, კოლექტიური მოთხოვნებით, მედიატორულ ზომებით და თუ საჭიროებამ მოითხოვა, გავიტყუოთ შემწეობითაც. კომუნისტურმა პარტიამ კი მოსკოვის მესამე ინტერნაციონალის მეთაურობით და კარნახით ხელი მიჰყო აქ ავანკურ საშვალდებებს». ბ. გრინს მოყავს კომუნისტების ბრძოლის უხეში მეთოდები მუშებზე გავლენის მოსაპოვებლად და განაცხადობს: «მომდის სხვადასხვა ადგილების მუშების ორგანიზაციებისაგან ტელეგრაფებით, რომ კომუნისტები თავს ესხმიან მუშებს, სურიათ იარაღით; შუა დამე უკლებზე ოჯახებში ამაყრობებელ ყუმბარებს და სხვა... მათი მოქმედება უფრო გაძლიერდა მის მერე, რაც საბჭოები იცნო ჩვენი მთავრობა». «მიიღო რა მხედველობაში ზემო მოხსენებული მდგომარეობა «ამერიკის მუშათა ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტმა გამოიტანა ასეთი დადგენილება:

1. მოგიწოდებთ ყველა მუშათა ორგანიზაციებს, რომ დაუყონებლივ გამორიცხოთ და გააძევოთ თქვენი წრიდან ყველა, ვინც კომუნისტურ პარტიას ეკუთვნის ან კომუნისტურ პროპაგანდას ეწევა.

2. მოგიწოდებთ ყველა მუშათა ორგანიზაციებს გაუწიოთ სასტიკი წინააღმდეგობა კომუნისტების ღონისძიებას ჩვენ მუშებში კომუნისტების გავრცელებისათვის.

3. ჩვენ ვაგზავნით ჩვენს აღმასრულებელ კომიტეტს მუშათა მინისტრთან და მოვითხოვთ, რომ გაძევებულ იქნენ შეერთებულ შტატებიდან არალეგალურად შემოსული კომუნისტები».

გ. გრინი თავის განცხადებაში განაცხადობს:

«მიუხედავად იმისა, რომ აღმასრულებელი კომიტეტს სრულებით არ ეშინია კომუნისტური მოძრაობისა, რადგან აქვს სრული რწმენა და იმედი ამერიკის მუშათა ფედერაციის წევრებისა, რომ ისინი ემსახურებიან თავის პრინციპებს, თავის ფილოსოფიას და სწორად ადებული პატრიოტულ გზას. მაინც კომიტეტი თავის მოვალეობათ რაცხს მიიღოს ყოველი ლეგალური, პატიოსნური და მიზანშეწონილი ზომები — დაიცვას წევრები ამერიკის მუშათა ფედერაციის ორგანიზაციისა და მასთან მთელი ჩვენი ერთი კომუნისტების ღია და ფარულ მოქმედებისა და ძალდატანებისგან»...

ასეთი ანტიბოლშევიკური მოძრაობა დაიწყო უკანასკნელ დროს მთელ შეერთებულ შტატებში. მრავალ რიცხოვან კლუბებს (ყოველ ამერიკელს თავის კულტურულ მოვალეობათ მიახნია, რომ ეკუთვნოდეს რომელსავე კლუბს) გამოაქვთ რეზოლუციები კომუნისტების წინააღმდეგ.

ის უმცირესი ნაწილი პრესისა, რომელიც მთავრობის პოზიციას მხარს უჭერდა საბჭოების ცნობის დროს, დღეს გულგრილად არ უყურებს კომუნისტების პოლიტიკურ მოძრაობას და მოლოდინის გაცრუებულ მატერიალურ უმედგობას.

«მეგობრობის» დამყარებამ და თვით «პოლპრედის» მთავრობასთან დამოკიდებულებამ ეკონომიური მდგომარეობა ოდნავაც არ გააუმჯობესა არც ამერიკისთვის და არც რუსეთისთვის. მოლაპარაკება 600 მილიონ დოლარის ძველი ვალის შესახებ, რომელიც აქ იყო დაწყებული გასულ წელს, მერე მოსკოვში გადატანილი და ბოლოს ისევ აქ გადმოტანილი — უმედგოდ შეწყდა...

შეჩერდა აგრეთვე საბჭოების მიერ 15 თვის განმავლობაში ნაწარმოები, შიშის ქვეშ დაწყებული მოლაპარაკება მანჯურის რეკონსტრუქციის გზის გაყიდვაზე. არა ერთხელ მოგვიყვანია კომპეტენტური ავტორიტეტის აზრი აქაურ კორესპონდენტებისა, ვინც მოსკოვში არიან და საქმის ვითარება კარგად იციან, რომ დღეს კრემლის საგარეო პოლიტიკა დამყარებულია შიშზე. ნიუორკის «ნაშინის» (ნაცია) კორესპონდენტი იწერებოდა: «შიში ომისა ქმნის კომუნისტების საგარეო პოლიტიკას; ეშინიათ გერმანიისა, ეშინიათ იაპონელებისა».

ამასვე ამბობს კრემლის მართველების მხარის დამჭერი, მოსკოვში მყოფი «ნიუორკის ტამსის» კორესპონდენტი ვოლტერ დურანტი. ახლა მას თვით «პრავდა»-ს წერილი მოყავს (თურმე რუსეთში თქმულაა გავრცელებული «პრავდა» და «იზვესტია»-ზე: «არ არის სიმართლე «სიმართლე»-ში და ცნობები «ცნობებში»-ო).

გ. დურანტი სწერს «ნიუორკის ტაიმსში»: «პრავდას მოყავს წერილი გერმანიის გავლენიან ეკონომიურ უურნალის, რომ გერმანია წინამდებოდა პაქტისა, რადგან ეს განსაზღვრავდა მისი აღმოსავლეთის

საზღვრების გადასინჯვის შესაძლებლობას და ამით შეაჩერებდა «გერმანიის და პოლონეთის თავისუფალ მოქმედებას აღმოსავლეთისკენ». ეს უკანასკნელი ფრანკა ეხება მთელს პრობლემას საბჭოებისას, რადგან ცნობილია აქ, რომ გერმანიის და პოლონეთის ზოგ წრეებში ოცნებობენ პოლონეთის ექსპანსიას აღმოსავლეთისკენ საბჭოების ხარჯზე—მაგალითად უკრაინის აღებით, რომელიც შესაძლებელია მოხდეს უცბად, როცა იაპონია დაიწყებს მოქმედებას შორეულ აღმოსავლეთში, ამ გეგმის დახმარებისთვის პოლონეთი მისცემდა გერმანიის კონცესიებს პოლონეთის კარიდორში ან და სილენიაში»-ო.

სწორედ ამ შიშით აიხსნება ლიტვიანების ვიზიტები წინა და უკანა კარებით ყველა ერების საგარეო სამინისტროებში. არა ერთი წყვილი ფეხსაცმელი გაცივთა ამ ვაჟბატონმა, და არა ერთი წვეთი უსიამოვნოდ შეღავთული ნერწყვი გადაყლაპა, როცა ზოგიერთ ალაგას კარები ცხვირწინ მიუხურეს. მაგრამ არა ერთჯერ დაუბრუნდა იმ კარებს, სანამ დრო არ იშოვა და ღიათ დარჩენილში არ შეხტა... დაუმოყვებლან, რაც მოსთხოვეს, და რაც ებადათ საბჭოებს—იდუბურად და მატერიალურად... მანჯურიაში კი, სადაც ცარიზმის სიხარბემ, გაუმძღვრობამ და სხვისი მფლობელობის მანიამ კომუნისტების საწინდარად ჩატია, დღეს იქ ენენი სამარცხვინო განსაცდელში არიან. «ასოსიეტ პრესის» ცნობით თვით «საბჭოების გახეთქება გამოაქვეყნეს დღეს, რომ იაპონიის ჯანდარმები განაგრძობენ საბჭოების ქვეშევრდომების ჭერას, რომლებსაც უმოწყალოდ ცემენ ჯიხვებით სანამ ხელს არ მოაწერიებენ განცხადებაზე... მერე სად არის სტალინის, ვოროშილოვის, ბლიუხერის და კომპ. კვენა?..

საინტერესოა აგრეთვე აქ, ამ ზაფხულში, გამოქვეყნებული წერილები საბჭოების სამფლობელოს შესახებ «ქრისტიან საინს მონიტორ»-ში. ეს გახეთი გამოდის ქალაქ ბოსტონში, აქვს დიდი ტირაჟი, მიღის ყველა ქვეყნებში, სადაც ინგლისურის მოლაპარაკე საზოგადოება არის: აზიაში, აფრიკაში, ავსტრალიაში და სხვ. ამ გახეთს ყავს დიდი შტაბი კორესპოდენტებისა ყოველ მნიშვნელოვან ადგილებში. ამ გახეთმა 18 დასურათებული წერილი მოათავსა პირველ გვერდზე ამ ზაფხულში. ამ წერილების ავტორი არის ვილიამ ჩამბერლინი, რომელმაც დაპყრო რუსეთში 10 წელიწადი უფროს კორესპოდენტათ და ახლა დანიშნულია შორეულ აღმოსავლეთში. გახეთი ყოველ წერილში ხახს უსვამს, რომ ეს წერილები უცნებურაა, დაწერილია მას შემდეგ, რაც ავტორი გამოვიდა რუსეთიდან.

ბ. ჩამბერლინი არის ცნობილი მწერალი, მან აქ გამოაქვეყნა ორი საყურადღებო წიგნი, როცა ისევ მოსკოვში იმყოფებოდა. ამ წიგნებში უშიშრად არის გარჩეული რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა, მაგრამ ახლა გამოქვეყნებულ უცნებურ წერილებში კვინტესენციაა კომუნისტების მოქმედებისა, რომლის მოყვანას აქ ჩვენ ვერ შეუდგებით, რადგან ასეთი ცნობები ჩვენთვის არა ახალია. ისევ ის უხურპატრობა, ყოველნაირი თავისუფლების მოსპობა, ფეხქვეშ გათელვა სხვადასხვა ერების

უფლებებისა, ეკონომიურად დარბევა ისედაც ლატაკი მუშის და გლეხობისა და მათი მონად გადაქცევა, რომელსაც თავის მე არ გააჩნია... კომუნისტური მთავრობა გადაქცეულია აბსოლუტურ ბატონად, რომელთან შედარებით ცარიზმის რეჟიმის მოქმედება სუსტი აჩრდილი იყოფო და სხ... ბოლოს ისევ შიში, შიში ხვალინდელი დღისა, შიში შიგნით, შიში გარედან და აქედან გამოწვეული სასტიკი სიმხეცე.

ეტყობა, ასეთი ცუდი აზრი მთელი ქვეყნისა ხელს არ უშლის საბჭოების ერთა ლიგაში შესვლას. ალბად ეს ხდება იაპონიის და გერმანიის შიშით. ეს გავარნებს თითქმის ერთი წლის წინდ იაპონიის საგარეო მინისტრის ნათქვამ სიტყვებს ამერიკის მიერ საბჭოების ცნობის დროს. მან განაცხადა: «თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამერიკის მიერ საბჭოების ცნობა ნიშნავს იაპონიაზე ხელის დაქერას, მას არაფერი გავება შორეულ აღმოსავლეთის სიტუაციისა».

ნაურო.

ს ო მ ხ უ რ ი პ რ მ ს ა

მოგვყავს ამონაწერები სომხურ გამოცემებიდან, რათა ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, თუ როგორ შეხვდა კავკასიის პაქტს სომხის საზოგადოებრივი აზრი უცხოეთში. ჩვენ აქ ამას კომენტარებს არ გავუკეთებთ და არ შევავსებთ, რადგან შემდეგში ცალკე გვექნება ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ გამოეხმაურენ ხსენებულ პაქტს როგორც ჩვენი მეზობლები, ისე უცხოელები.

პარიზის ორთვიური საისტორიო და საკულტურო კრებული ვრაციანისა ბექდავს პაქტის წარმოშობის ინფორმაციას და სხვათა შორის ამბობს: «კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი დაარსდა ამ რვა წლის წინდ სტამბოლში თურქეთის და პოლონეთის მთავრობათა მორალური და მატერიალური დახმარებით. კომიტეტმა თავიდანვე მიზნად დაისახა კავკასიის კონფედერაციის მოწყობა, ხოლო პოლიტიკურმა პირობებმა ხელი შეუშალეს ამის განხორციელებას. ხელი შეუშალა მწვავე შინაურმა უთანხმოებამაც, რასაც მოჰყვა მთიელთა ნაწილის გამოსვლა კომიტეტიდან, ასე მაგ. ბამატის და ჩერმოვეის. კომიტეტმა ვერაგზით ვერ მოახერხა სომხების მიმხრობა—არც ერთმა სომხის მიმდინარეობამ არ მიიღო მონაწილეობა. ამგვარად კომიტეტში შედიან: ყველა ქართული დაჯგუფება, აზერბაიჯანელები—რასულ ხადეს ფრთა მუსავატისტებისა და ნაწილი მთიელებისა. კომიტეტი არ წარმოადგენს მთელს კავკასიას. მიუხედავად ამისა კომიტეტი აწარმოებს გარკვეულს მუშაობას კონფედერაციის მოსამზადებლად და ესლანდელი პაქტი არის ნაყოფი ამ მოსამზადებელი მოღვაწეობისა. იბადება კითხვა: რატომ მხოლოდ დღეს იქნა ხელმოწერილი პაქტი? თუ მხედველობაში მივიღებთ ფაქტებს, არ იყო საამისო არავითარი შინაგანი საბაბი: არ მომხდარა რაიმე თვალსაჩინო ცვლილება კავკასიის პირობებში და არც თვით კომიტეტში. უნდა ვიფიქროთ, რომ პაქტის დადებამდე გავლენა მოახდინა გარეუე ძალამ და მიმ-



დინარე ამბების ანგარიშმა. ასეთნაირად მოწყობილი საქმის ბედი არ იქნება უკეთესი. ვიდრე იყო ბედი თვით კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის და მისი «პრომეთის».

სახალხო პარტიის ამერიკული გაზეთი «პაიკარ» სარგებლობს კავკასიის პაქტს, რომ თავს დაესხას დაშნაკუტიუნს. გაზეთი სწერს: «სომხეთის მოწინააღმდეგეთა ნაწილი (დაშნაკუ.) სულით და გულით შეუერთდა «კავკასიის პაქტს». შეუერთდა, მაგრამ არ უნდა ამის აშკარა გამოცხადება. უდავოა, რომ კავკ. პაქტის შემკვრელი, კავკასიელი პოლიტიკური ავანტურისტები ერთი ხანია კუდში მისჩანჩალებენ პიტლერს და გერმანიას. ჩვენი ავანტურისტები კი, თუმცა და გატაცებულნი არიან პიტლერით და ჰბაძავენ მის მეთოდებს და საშუალებებს.—ერიდებათ ახლილ გამოსვლებს, რათა ეზინიათ არ აწყენიონ ანტიგერმანულ სახელმწიფოებს, კერძოდ საფრანგეთს. ამას ერთვის რუსეთ-საფრანგეთის დამეგობრებაც და ამის მიზეზით სოსხეთის რესპუბლიკის დეფეგაცია ფორმალურად არ დაუკავშირდა კავკასიის პაქტს. მაგრამ ყველაზე უძლიერესი მიზეზი აქ იყო სომხის სახალხო პარტიის პოზიცია: ეს უკანასკნელი დაუნდობლად გამოილაშქრებდა, რომ დაშნაკელებს ხელი მოეწერათ კავკასიის პაქტზე».

«პაიკარს» ასეთი პასუხი გასცა დაშნაკუტიუნის გაზეთმა «არაჩ»-მა (31 ოქტ.):

«ანტიდაშნაკური და კერძოდ სომხის სახალხო პარტიის პრესა მრავალი წლის განმავლობაში მუდამ იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ ვითომც ჩვენი პარტია მოწინააღმდეგის იღებს კავკასიელთა საიდუმლო კავშირში. რომლის მიზანია საბჭოების მართვლობის გადაადგება. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, სიცრუე სიცრუედ რჩება და უალაგო თავდასხმები პროვოკაციის ხასიათს ღებულობს. ბოლო დროს კვლავ განაწლდა ეს საზიზარო შანტაჟი, რაიც ახალ საკვებს აძლევს სახალხო პარტიას «შემოქმედებითი მუშაობისათვის». კავკასიის სამმა რესპუბლიკამ—საქართველომ, აზერბაიჯანმა და დაღესტანმა—ამა წლის 14 ივლისს კავშირი შეკრეს ერთმანეთთან, რომლის ტექსტი დაბეჭდილია მათ ოფიცოზ «პრომეთე»-ში. მაშასადამე არც დაშნაკუტიუნის არც სხვა სომხის რომელიმე დაჯგუფება არ მიმხრობია ამ კავშირს და ვერც მიემხრობოდა იმ მტკიცე საფუძვლისა და პირობებისა გამო, რომელთა შესახებ ლაპარაკია რამდენიმე წლის სიგრძეზე. უკანასკნელმა რეგენმა სახალხო პარტიის ბანაკიდან ძალიან კარგად იცოდა ყველაფერი ეს. მიუხედავად ამისა წინააღმდეგს ამტკიცებს და თავს გვესმის პოლემიკის მიზნით... თითქოს ჩვენ მიტომ არ მივიღეთ მოწინააღმდეგეთა კავკასიის შეთანხმებაში, რომ საფრანგეთის მოგვერიდა. მაგრამ ნამდვილად საფრანგეთი ერთი იმ სახელმწიფოთაგანია, რომლებიც მფარველობენ ამ შეთანხმებას».

მეტად მწვავე ფიქრებს იწვევს გაზეთ «არაჩ»-ში უცხოეთის სხვადასხვა ადგილებში გაფანტული სო-

მხობის ბედი. «სოციალური მდგომარეობის ორგანიზაცია სომეხთა კალონიებში, სწერს გაზეთი: მეტად სუსტია, რის გამო თანდათან ძალიან სუსტდება ჩვენი ხალხის გამძლეობა. ვინ უნდა დაგვიცვას—ერივანმა? მაგრამ მან გარდაუვალი კედელი აღმართა მასა და სომხის კალონიებს შორის. იგი არ უყურებს თავის თავს როგორც მთავრობას, რომელმაც უნდა დაიცვას ჩვენი ინტერესები, არამედ წარმოუდგენია თავისი თავი, როგორც პარტიული კომიტეტი, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ უფროსების კარნახით ათი წელიწადია იმას ვამტკიცებთ, რომ ჩვენი სამშობლოს ინტერესი მოითხოვს ჩვენი კალონიების თავდაცვის გაძლიერებას, ვინაიდან როგორც უკანასკნელთ არ შეუძლიათ სუნთქვა სამშობლოს ცხოველ ჰაერს მოკლებულთ. ასევე სამშობლოსაც არ შეუძლია უყურადღებოდ დააგდოს თავისი გარდახვეწილ შვილების ასიათასები, უგზლოთ უტკიროს მათ დაშლა-დარღვევას... და თუ ერივანში ლენინს იქით არაფერს ხედავენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენც უმოქმედოთ ვიყოთ. თუ გავლილმა პირმა და უბედურებამ, მისწრაფებამ და იმედმა რამე გამოსავალი უნდა გვიჩვენოს, ეს დამოკიდებული იქნებოდა ჩვენი თავდაცვის გაძლიერებაზე, რაც უზრუნველჰყოფს ჩვენს მომავალს ჩვენს მეზობლებს შორის».

იგივე გაზეთი ყურადღებას აქცევს სომხის ეკლესიის ავტონომიის გაუქმებას თურქეთში და შემდეგს მწარე სტრიქონებს უძღვნის ამ საკითხს: «გარემოება ხელს უწყობს თურქეთს. რათა კომედიად აქციოს უმცირესობათა უფლებების დაცვა. ახალი კანონის ძალით უმცირესობათა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება, განაწილება მათი მორალურ და ქონებრივ სახსართა გადაღების მთავრობის ხელში, რომელიც ამას მოიხმარს, როგორც უნდა. ერთი სიტყვით, ნაჯახის დავკრით ისპობა სომხობის უკანასკნელი საცოდავი ნაშთი თურქეთში, შეხიზნული სტამბოლში. გუშინ თურქები ამას ახორციელებდნ ხოცვა-ჟლეტით. დღეს კი «კანონიერი» საშუალებებით. გუშინ გვემუქრებოდა ფიზიკური მოსპობა, დღეს კი—გათურქება. ეს შეეხება მხოლოდ 60-70 ათასს სომეხს, რადგან ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულად მიგვანჩნია ჩვენი ერის ნაშთები ანატოლიაში. არის შესაძლებლობა მივმართოთ ნაციათა ლიგას, როგორც ამბობენ ზოგიერთები...»

მ ხ ე ლ ა რ ი

მივიღეთ «მხედარი»-ს მეჩვიდმეტე რვეული. ქუჩრალი შეიცავს რამდენსამე წერილს ქართული სამხედრო სკოლის შესახებ (მისი არსებობის 15 წ. თავის გამო), გენ. ზ. ბაქრაძის, დ. შალიკაშვილის, ნ. მა—ლის, შ. ამირაჯიბის, გენ. ა. ჩხეიძის და სხ. წერილებს. მითავსებულობა აგრეთვე საინტერესო ისტორიული დოკუმენტები და მასალები ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიისთვის. რვეული მოზრდილი ტანისაა—104 გვერდი.